# საქართველოს რესპუბლიკა



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდური სიტყვაა, ცრუობით და ჭორებით ბურთის გაგდება ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.


დაარსებულია 1918 წელს.

სამშაბათი, 21 დეკემბერი, 2010 წელი.

№237 (6603)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@ayety.ge

ვებ გვერდი: www.open.ge

ფასი 50 თეთრი.


# ბურჯანაძე გაჩეჩილაძის წინააღმდეგ თუ პირიქით?




მეორე ორშაბათია, დიდი ინტერესით გავრბივარ „ქართული პარტიის“ საგანგებოდ დანიშნულ ბრიფინგებზე. მიზეზი გაზეთ „ასავალ-დასავალში“ გამოქვეყნებული სკანდალური ბრალდებებია. ოპოზიციონერ ლევან გაჩეჩილაძეს ჟურნალისტი ჯაბა ხუბუა ხელისუფლებასთან გარიგებაში და საპროტესტო აქციების გაყიდვაში ამხელს. რომ მგონია, ქართული პარტია“ მას მყარ არგუმენტებს დაუპირისპირებს და ეჭვებს გააქარწყლებს, სულ ტყუილად.

როცა ეს სკანდალი „გასკდა“, მეგონა, რომ თავად ლევან გაჩეჩილაძე შეხვდებოდა ჟურნალისტებს, მაგრამ თანაპარტიელის „ადვოკატობა“ მაშინ ეროსი კიწმარიშვილმა იკისრა, რომელმაც სულ სხვა შეხვედრაზე გააკეთა აქცენტი, არადა ჟურნალისტი გარკვევით წერდა, რომ ლევან გაჩეჩილაძისა და მიხეილ სააკაშვილის პირისპირ შეხვედრა შავნაბადას რეზიდენციაში შედგა, ბრიფინგზე კი პრეზიდენტის რეზიდენციაში გამართულ შეხვედრაზე ისაუბრა, სადაც ოპოზიციის ოფიციალურ მოთხოვნებს თითქოს ნინო ბურჯანაძე იწერდა.

ამან სერიოზული ეჭვი გააჩინა იმისა, რომ ჟურნალისტს ინფორმაციას სწორედ ნინო ბურჯანაძე მიაწოდებდა. საზოგადოებამ აქტიურად დაიწყო მარჩიელობა, ვინ იქნებოდა ინფორმაციის წყარო.

მოვიდა ორშაბათი და ჟურნალისტმა შეპირებული ლევან გაჩეჩილაძის ხელნაწერის ნაცვლად ბადრი ბიწაძის ინტერვიუ გამოაქვეყნა, სადაც ის პირდაპირ ბრალს სდებს ლევან გაჩეჩილაძესა და ეროსი კიწმარიშვილს ხელისუფლებასთან გარიგებაში, 2 მილიონის აღებაში. მეტიც, ყოფილი საზღვრის დაცვის დეპარტამენტის უფროსი ამბობს, რომ მიხეილ სააკაშვილმა მას სთხოვა გვერდით ოთახიდან მოესმინა გაჩეჩილაძის მოთხოვნები. ოპოზიციონერმა პირობები ქაღალდზე დაწერა: ის ითხოვდა ექვსი თვით გაპრემიერებას, 5 მილიონს თანამოაზრეებისთვის და საადგილმამულო ბანკის შესაქმნელად საწყის კაპიტალს — 12 ათას ლარს. ხელნაწერი შეხვედრის დასრულების შემდეგ პრეზიდენტს დაუტოვა, პრეზიდენტმა ბადრი ბიწაძეს წააკითხა და მას გადასცა. პირობების დაკმაყოფილებაში სანაცვლოდ ლევან გაჩეჩილაძეს პრეზიდენტისთვის ინაუგურაციის ჩატარების უფლება უნდა მიეცა. ასეც მოხდა, მაგრამ გაჩეჩილაძე „გადააგდეს“ და მხოლოდ 2 მილიონს დააჯერეს.


იხ. 2 გვ.


## ორის ომი მესამის სასარგებლოდ

## სათუთად მოსავლელი 5 სასწავლებელი

## ინვესტორს 3 მხოლოდ მოგებაზე უჭირავს თვალი

## 8 რუსეთს რევოლუციის საფრთხე დაუდგა

## ევროპას 3 ეკლიანი გზით ვუახლოვდებით?



## მჭედელი გამარჯვებისა

21 დეკემბერი იოსებ სტალინის (ჯუღაშვილის) დაბადების დღეა 6

## ბაია ამაშუკელი (პასუხად ნანა ტატიაშვილს): რა ვქნა, და მაინც მოგზავნილი მგონიხარ, ქალბატონო ნანა 4

## საქართველოს მწერალთა კავშირის სამდივნოში

**20 დეკემბერს საქართველოს მწერალთა კავშირის სამდივნომ განიხილა მწერლების გულო კობიაშვილისა და ზურაბ თორიას განცხადება საქართველოს მწერალთა კავშირის გამომცემლობა „ეროვნულ მწერლობაში“ შექმნილი მდგომარეობის შესახებ.**

აზრი გამოთქვეს საქართველოს მწერალთა კავშირის სამდივნოს წევრებმა.

სამდივნოს დადგენილებით შპს „ეროვნული მწერლობის“ დირექტორმა (ვ. ოთარაშვილი) დაუყოვნებლივ უნდა დააბრუნოს გამომცემლობიდან მისი თავნებობის გამო იძულებით წამოსული მწერლები. 2011 წლის იანვრის მეორე ნახევარში დაინიშნა მწერალთა კავშირის გამგეობა, რომელიც იმსჯელებს „ეროვნული მწერლობის“ დირექტორის თანამდებობაზე ამჟამინდელი დირექტორის დარჩენის მიზანშეწონილობის შესახებ. რჩევა მიეცა ორივე მოდავე მხარეს მწერალთა კავშირის გამგეობაზე საკითხის განხილვამდე შეწყვიტონ ურთიერთგანმაქიქებელი პუბლიკაციები.

სამდივნო გამგეობის წინაშე დასვამს საკითხს, რათა წესდებაში შევიდეს ცვლილება იმის თაობაზე, რომ მწერალთა კავშირის სამდივნოს წევრს უფლება არ უნდა ჰქონდეს იმავდროულად იყოს მწერალთა კავშირის რომელიმე შპს-ს ხელმძღვანელი.

სამდივნო მომავალში წელიწადში ერთხელ მოისმენს გამომცემლობის ხელმძღვანელობის ანგარიშს.



შთაბეჭდილება „მთავრობის სხდომიდან“

# დინოზავრების პარასკევი,

## ანუ ნუ ჩაუჯდები ნავში მეფეს, ვერა!

**საბოლოოდ დავრწმუნდი: ჩვენი პრეზიდენტი შეპყრობილი ჰყავს უკეთურ იდეა-ფიქსს — გააოცოს, გადარიოს, კედლებზე გაიყვანოს ქართული საზოგადოებრიობა.**

მისი საეშმაკოდ მომართული გონება მუდმივად გამოიგონებს ახალს, წარმოუდგენელს, ჯერ არ ნახულს, ჯერ არ გაგონილს და პირდაპირ სატელევიზიო ეთერში ცხელ-ცხელი ხაჭაპურივით მოგვართმევს ხოლმე ამ სიახლეს.

აი, პარასკევს, რომელსაც დამისამართებულად დინოზავრების პარასკევი შეიძლება ვუწოდოთ, მიშა და მისი რაზმი ჯურღმულში ვიხილეთ... მთავრობის სხდომის მაგიდასთან.

ამას წინათ ყვარლის ტბაზე, იმის იქით ლაფანყურის ტბორზე, ახლა სათაფლიის მღვიმეში...

შორს არ არის დრო, როცა შემდეგი სხდომა გაიმართება ბაზალეთისა ტბის ძირას, სადაც ოქროს აკვანი არისო.

ან კიდევ უფრო უკეთესი — იქ, სადაც დიდებულს მთასა მყინვარსა ორბნი-არწივნი ვერ შეხებიან და უწინდელ დროში ღვთისა მოსავთა გამოუქვაბავთ მუნ მონასტერი და იმ ყინულში შეთხრილ ღვთის ტაძარს ბეთლემს უწოდებს დღესაცა ერი...

რატომაც არა, ავლენ ფრიალოზე რკინის ჯაჭვით, ზედ რომ ჰკიდია თურმე იმ კარსა, პრეზიდენტი, პრემიერ-მინისტრი ნიკა, მდგრადი განვითარების თვალჟუჟუნა ვერა მინისტრი და სხვა დიდმოხელენი, იმსჯელებენ, ანუ თვალის დაუხამხამებლად შეაჩერდებიან პირში ქადაგად დავარდნილ პრეზიდენტს, და ისევ ქვევით ჩამოიხვეტებიან, იმავე გონებრივი საზრდოთი, რაც ზევით აიტანეს, ისევე, როგორც სათაფლიის მღვიმიდან ისევ ის რომ გამოიტანეს, რაც შეიტანეს.

ისმის კითხვა: მაინც ქვეყნისთვის რა სასიცოცხლოდ აუცილებელი საკითხის გადასაჭრელად ჩავიდა ქვესკნელში ჩვენი მთავრობა?

თავს თუ ძალას დაატან, შეიძლება ივარაუდო, ალბათ გარემოს დაცვისა და ტურიზმის საკითხებზე საბჭოდ იყო საჭირო სათაფლიის სტალაგმიტებისა და სტალაქტიტების საუფლოს დალაშქვრა ვერას თვალების ჟუჟუნის ფონზე.

ოღონდ, ის ვერ გავიგე, ხორბალი, შაქარი და სხვა აუცილებელი პროდუქტები ძვირდებაო, მიწის ზევით ვერ გვახარებდა პრეზიდენტი ამ წინასაახალწლოდ, მაინცდამაინც კარსტულ მღვიმეში რომ არ გაემართა კუკუდამალობანა?

ისე, ეს პირველად იყო, პრეზიდენტი მორცხვად რომ გამოტყდა, სასწაულებს ვერ მოვახდენთო. ანუ ვერაფერს გიშველითო. არადა, ისე მივეჩვიეთ მისგან სასწაულებს, რომ თვითონ რომ ეგონა, იმაზე მეტად გვეწყინა ამის მოსმენა, ყოველ შემთხვევაში, პირადად მე მაინც. იმ იმედის დაკარგვამ მომტეხა მხარი, რომელიც ყოველთვის მქონდა ხელისუფლებისგან, განსაკუთრებით, პირადად ჩვენი ხალისიანი პრეზიდენტისგან.

ერთადერთი ეს გადმოგვიგდო მაშველ რგოლად: იმით დაგეხმარებით, რომ პრეზიდენტის კანცელარიის, მერიის, სახელმწიფო დაწესებულებების, სამინისტროების აპარატებს შევამცირებ და თანხებს დაგიზოგავთო.

ეს „იმედია“ გულის მოსაფხანად, თორემ ამ საყოველთაო უმუშევრობის ჟამს კიდევ უმუშევართა შემომატება დაგვაიმედებდა?

არც თანამშრომლების უკიდეგანო კორუფციის გამო გარემოს დაცვის მინისტრის შესაჯორად იყო აუცილებელი გამოქვაბულში ჩათხუნელება. ზევით უფრო შთამბეჭდავად შეიძლებოდა თქმა, „შენ, ძვირფასო გოგა, საქმე ჩააფლავე, ახლა დაჯექი ნიკასთან (პრემიერ-მინისტრთანძ ერთად და ლონისძიებები დასახეო:“ რა სასწაულმოქმედი რამ შეიძლება დასახოს ახლა ციხეში შელალული ნახევარი სამინისტროს



პატრონმა, საცოდავმა ხაჩიძემ, რომ თანამშრომელთა მეორე ნახევარი იმავე გზას აასცილოს. არადა, ამბობენ, გარდუვალი დაჭერის მოლოდინში ეს „ბუნების დამცველები“ სულ დაცოფდნენ და, სადაც წაასწრებენ, მასშტაბურად ქვას წვენს ადენენო.

მიშამ ერთი წატრაბახება მაინც მოასწრო, უზარმაზარ მექსიკას ერთადერთი მღვიმე აქვს, ჩვენ კი ამ მხრივ ბედნიერები ვართო.

ამ ტურისტების მოსაზიდად გადაგდებული ანკესით მოხიბლულ მდგრად მინისტრს სულ ნაპერწკლები სცვიოდა ლამაზი, გაურკვეველი ფერის თვალთაგან.

კინაღამ დამავიწყდა: პრეზიდენტმა მთავრობის წევრებს და ტელემაყურებლებს საიდუმლო გაგვანდო, ქუთაისში მთავრობის ახალი კანცელარია შენდება, ოღონდ ჩვენ თბილისიდან როდი ვიპარებითო.

არ ვიცი, წაიქილიკა თუ უნებურად წამოცდა.

ამას კიდევ აიტანდა კაცი, მაგრამ შემდეგი ნართაული ვერ გაგვაგებინა ნათლად: „ბოლოს აღა მაჰმად-ხანმა სცადა თბილისიდან გაეპარებინა ხელისუფლებაო“.

რა ისტორიული პარადოქსი შეგვახსენა ისტორიის მძვინვარედ მოყვარულმა ჩვენმა პრეზიდენტმა?

აღა მაჰმად-ხანმა რა ფორმით, როგორ და რანაირად სცადა თბილისიდან „ხელისუფლების გაპარება“?

რომელ ისტორიულ წყაროშია ეს ნათქვამი?

გაპარება სცადა კი არა, მაშინდელ ერთადერთ ხელისუფალს — მეფე ერეკლეს ცოცხლად შეჭამდა, თავგადადებულ შვილიშვილებს ძალით რომ არ გაეყვანათ ბრძოლის ველიდან მარცხით და ღალატით გადარეული 75 წლის მოხუცი გმირი.

მაინც საიდან იგონებს ბატონი მიხეილი ამ ისტორიულ ზღაპრებს, ვინ ენამოსაჭრელი ჩაბზუის ყურში ამ მონაჩმახებს და თავს ჭრის?

ბოლოს ეტყობა მობეზრდა ეს მონოსპექტაკლი პრეზიდენტს და აჩქარდა, ახლა აქედან წავიდეთ, თორემ შეიძლება დინოზავრებმა გაილვიძონ და აქედან გაგვყარონო.

ეტყობა ისე მოენატრა დღის სინათლეზე ამოსვლა, რომ ნავით გამოქანდა, თანაც ნიჩბებს თვითონ მიუჯდა და მღვრადი ვერაც უკან მოისვა, ვერავის ანდო.

ყველაფერი იყო იდეალურად მშვენიერი და სასაცილო, ოღონდ ჩვენი ახალბედა მომხიბვლელი ეკონომიკის მინისტრი გვინდა გავაფრთხილოთ: ისტორიულად გამოცდილია, მეფეს ნავში არ უნდა ჩაუჯდე, ვერა!

**ალეკო ასლანიშვილი**

ოპოზიცია

# საქართველო ბუტანის, კამბოჯას, მოზამბიკის... შემდეგ მიჩანჩალებს

## დემოკრატიის ხარისხის მიხედვით ასეულშიც არა ვართ

**„თავისუფალმა დემოკრატებმა“ გუშინ იმის შესახებ გამართეს ბრიფინგი, რის გამოც დიდი ხანია ქართული საზოგადოება პრეტენზიას გამოთქვამს, მიტინგებს აწყობს, ქუჩის აქციებს მართავს და ა. შ. მიზეზი დემოკრატიის უხარისხობაა ჩვენს ქვეყანაში და არა ზოგადად...**

ჟურნალ „ეკონომისტმა“ სოციოლოგიური კვლევა ჩაატარა, რომლის რეიტინგში საქართველომ დემოკრატიის ხარისხის მიხედვით 103-ე ადგილი დაიკავა. „დემოკრატიის შუქურად“ მიჩნეულ ქვეყანას ძალიან დაბალი ქულა აქვს სამთავრობო ინსტიტუტების ფუნქციონირების მონაწილეობითი პოლიტიკის წარმოებისა და პოლიტიკური კულტურის მხრივ.



ირაკლი ალასანიასა და გიგა ბოკერიას შეხვედრის შესახებ მითქმა-მოთქმას ბოლო არ უჩანდა, მაგრამ ოპოზიციონერი ლიდერი მიიჩნევს, რომ ის სწორედაც კარგად უნდა იყოს ჩახედული უშიშროების საკითხებში, ხოლო რაც შეეხება დემოკრატიას, ის ისედაც ხელისგულზე დევს, — საქართველო დასავლეთის იმედებს ვერ ამართლებს.

„კომერსანტის“ რეიტინგმა სამთავრობო სტრუქტურების ინტერესი ვერ გამოიწვია. არავინ ამბობს ხმამაღლა, რატომ გადაიწია ქვეყანამ ბოლო რიგებისკენ, ხელისუფლებისგან თვითკრიტიკის მოსმენა შეუძლებელია.

ალასანიას თანაგუნდელმა **თეა წულუკიანმა** პრესკონფერენციაზე ნაციონალურ მოძრაობას მოუწოდა, თავი დაანებოს დემოკრატიულობის შესახებ ლეგენდების შექმნას და თვალი გაუსწოროს რეალობას, ნაბიჯები გადადგას იმისკენ, რომ ახლო მომავალში ხელისუფლებიდან წასვლის შემდეგ მემკვიდრეობად დემოკრატიული სახელმწიფო დატოვოს. **„ევროპელი ანალიტიკოსები იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ საქართველოში ნაციონალური მოძრაობის მიერ შექმნილი სახელმწიფო მმართველობის სისტემა ჰიბრიდული რეჟიმების რიცხვს განეკუთვნება, ის არც დემოკრატიულია და არც ბოლომდე ავტორიტარული“,** — განაცხადა „თავისუფალი დემოკრატების“ თავმჯდომარის მოადგილემ.

ვითარება, მართლაც საგანგაშოა. მაღალი დემოკრატიულობის პრეტენზიის მქონე საქართველოს, რომელსაც თითქოს ბადალი არ მოეძებნება მთელ კავკასიაში, წინ უსწრებენ ისეთი ქვეყნები, როგორიცაა ბუტანი, კამბოჯა, მოზამბიკი, უგანდა, ტარზანია, ნიკარაგუა... კვლევების რეიტინგის შეფასების კრიტერიუმთა შორის იყო საარჩევნო პროცესი და პოლიტიკური პლურალიზმი.

„თავისუფალი დემოკრატები“ კვლევების შედეგით შეშფოთებულები არიან. **„ჩვენ მზად ვართ სახელმწიფო პოლიტიკის ზედამხედველისა და მონაწილის ფუნქცია ვიტვირთოთ, რათა ნაციონალურმა მოძრაობამ ხელისუფლებაში ყოფნის ბოლო პერიოდში ახალი ანტიდემოკრატიული ნაბიჯები არ გადადგას მმართველობის რომელიმე სფეროში და საარჩევნო გარემოს გასაუმჯობესებლად რეალური პოლიტიკა გაატაროს“,** — განაცხადა ბრიფინგზე თეა წულუკიანმა.

„თავისუფალი დემოკრატები“ აბსოლუტურად დარწმუნებულები არიან იმაში, რომ ხელისუფლება მმართველობის უკანასკნელ ფაზაშია და არჩევნების გზით საზოგადოება მას მალე გააცილებს. ხოლო არსებულის შეცვლას პარტიის მუშაობის გაძლიერებით თავად გეგმავენ. ალბათ, ამ რწმენის გამო სცილდებიან ნინო ბურჯანაძეს თანაგუნდელები და ალასანიას პარტიაში ინაცვლებენ. თეა წულუკიანმა დაადასტურა, რომ „თავისუფალი დემოკრატების“ თანამოაზრე გახდა „დემოკრატიული მოძრაობის“ წევრი რომან კუსიანი. მან ბურჯანაძის თანაპარტიელის წამოსვლის მიზეზზე არაფერი თქვა, მაგრამ აღნიშნა, რომ **„კუსიანს პარტიული სტრუქტურების მშენებლობის დიდი გამოცდილება აქვს. ჩვენთვის სასიხარულოა, რომან კუსიანი ჩვენს რიგებს რომ შემოუერთდა. ამიერიდან „თავისუფალი დემოკრატების“ საქმიანობაში ისიც აქტიურად ჩაერთვება და ჩვენს გუნდთან ერთად იბრძოლებს იმ ახალი პოლიტიკური კულტურის შესაქმნელად, რომლის დამკვიდრებასაც დიდი ხანია ვცდილობთ“,** — დასძინა წულუკიანმა.

**ნია ფიფია**

ომი ოპოზიციაში

# ბურჯანაძე გაჩეჩილაძის წინააღმდეგ, თუ პირიქით?

(პირველი გვერდიდან)

ამით გაღიზიანებული ოპოზიციონერი მიტინგებზე ხშირად ჩნდებოდა, მაგრამ როგორც ბიწაძე ამტკიცებს, ის ორმაგ გარიგებაში შედიოდა როგორც ოპოზიციის ლიდერებთან, ასევე ხელისუფლებასთან. ასე მოხდა ამ ბოლო დროსაც, როცა მან 2 მილიონი ამჯერად ნინო ბურჯანაძისგან მოითხოვა, „სახალხო კრების“ გვერდით დგომის სანაცვლოდ. ბიწაძე ამბობს, რომ ისინი ამ გარიგებაზე არ წავიდნენ. ამის შემდეგ გაჩეჩილაძემ ნოღაიდელთან დაიწყო საერთოს გამონახვა. საბოლოო ჯამში, „სახალხო კრება“ შედგა, მაგრამ არასრულფასოვნად, გაჩეჩილაძე მის გვერდით არ იდგა, ხოლო „ქართული პარტიის“ შექმნის დღიდან მათ სწორედ ბურჯანაძის დისკრედიტაცია დაიწყეს და არა ხელისუფლების. ბიწაძე ამბობს, რომ ხელისუფლებამ ამისთვის „ქართულ პარტიას“ ფული გადაუხადა.

ამინფორმაციის გამჟღავნებისთანავე გამიჩნდა ეჭვი, რახდებოდა რეალურად, რადგან სულ ორიდე კვირის წინათ პრესაში დაიწერა, რომ „ქართულ პარტიაში“ სერიოზული უთანხმოება იყო, ვინაიდან ლევან გაჩეჩილაძე „სახალხო კრებას“ ღიად უჭერდა მხარს, დანარჩენები კი — არა. მაშინ რისთვის დასჭირდა ნინო ბურჯანაძეს მაინცდამაინც გაჩეჩილაძის წინააღმდეგ მიეტანა იერიში, ან რატომ გამზიურდა სწორედ ახლა ჯერჯერობით მითიური ხელნაწერის ამბავი?

როგორც ხედავთ, ბრალდებათა ნუსხა მრავალფეროვანია. ყველა ნათქვამს სერიოზული გაანალიზება და დოკუმენტების ენით საუბარი სჭირდება. ლევან გაჩეჩილაძე კი ბრიფინგზე ძალიან მოკლე ტექსტით შემოიფარგლა. „არასოდეს ოპოზიციის მისამართით აუგი არ მითქვამს. როგორც ხედავთ ამ ბოლო დროს ჩემს წინააღმდეგ ბინძური, ავადმყოფური კამპანია დაიწყო ყოველგვარი მტკიცებულებების გარეშე. ამას კი ბურჯანაძეების ოჯახი ახორციელებს. ჩემი უამრავი მცდელობის მიუხედავად, ბურჯანაძეების ოჯახი ოპოზიციის რიგებში ჩამეყენებინა, ისინი მაინც ხელისუფლების საქმეს აკეთებენ“, — სულ ეს იყო გაჩეჩილაძის კომენტარი. მან ჟურნალისტებს განუცხადა, რომ კითხვებზე პასუხს მხოლოდ „მაესტროს“ საღამოს ეთერში გასცემდა. როგორც იცით, ტელეკომპანია „მაესტრო“ მთლიანად საქართველოს ვერ ფარავს, თანაც ერთი ჟურნალისტის დასმული კითხვები, როგორი კომპეტენტურიც არ იყოს ის, მაინც ვერ უდრის უამრავი ჟურნალისტის დასმულ შეკითხვებს. ვერ გეტყვით, რა იყო მიულებელი, პრესკონფერენცია ჩაეტარებინა გაჩეჩილაძეს და სხვადასხვა მაუწყებლობისთვის მიეწოდებინა არგუმენტები, რა თქმა უნდა, ასეთი არგუმენტები არსებობს.



თუ არა და, ის მიდგომა, რომ „ქართული პარტია“ რაღაც პოზას იკავებს, ჟურნალისტები საათობით, დილიდან ელოდებოდნენ სულ მცირეოდენ კომენტარს მაინც, მაგრამ ამ ყველაფრის მიუხედავად გაჩეჩილაძე ექსკლუზიურ უფლებას მხოლოდ „მაესტროს“ ანიჭებს, კიდევ უფრო მეტ კითხვას აჩენს. მით უფრო, რომ როგორც ბადრი ბიწაძე „ასავალ-დასავალის“ ჟურნალისტთან ამბობს, „მაესტროს“ 46 პროცენტის მფლობელი სწორედ ლევან გაჩეჩილაძეა...

**საზოგადოება დღეს თუ არა ხვალ, მაინც გაარკვევს ვინ აკეთებს რეალურად ხელისუფლების სასარგებლო საქმეს, თუმცა ამჯერად ასე ჩანს, რომ ორივე მხარე სააკაშვილის წისქვილზე უშვებს წყალს. ეს საქართველოს რეალობაში, თორემ ნორმალური ქვეყნის საზოგადოებას პრეზიდენტობანაყიდი სახელმწიფო მეთაურის ერთი სიტყვისაც არ უნდა სწამდეს და შესაბამისად, ასეთი პრეზიდენტიც არ უნდა ჰყავდეს.**

**თეა მოსია**

ჩავარდნილი ეკონომიკა

# ინვესტორს მხოლოდ მოგება აინტერესებს!



***„ინტერპრესნიუსი", ქართველ ექსპერტებთან ერთად, 2010 წლის საზოგადოებრივ-პოლიტიკური და ეკონომიკური ცხოვრების შედეგების შეჯამებას შეეცდება. წლის შეჯამების დაწყება ეკონომიკური საკითხებით ვარჩიეთ. 2010 წლის ეკონომიკურ შედეგებსა და 2011 წლის ეკონომიკურ პერსპექტივებზე „ინტერპრესნიუსი" ექსპერტს ეკონომიკურ საკითხებში ნოდარ ხადურს ესაუბრა.***

**— ბატონო ნოდარ, როგორ შეაფასებდით ეკონომიკური თვალსაზრისით 2010 წელს და რა ეკონომიკური შედეგებით ხვდება საქართველო 2011 წელს?**

— წინასწარი მონაცემებით, ეკონომიკის ზრდა, შესაძლოა, 5-6 პროცენტიც იყოს. თუმცა, 2009 წელი 1996 წლიდან ერთადერთი წელი იყო, როცა ეკონომიკური ზრდა უარყოფითი ნიშნით, დაახლოებით 4-პროცენტიანი ვარდნით დაფიქსირდა. 2007 წელს რეკორდულად მაღალი ეკონომიკური ზრდა გვქონდა. 2008 წლის მეორე ნახევარში, ომის და სხვა პრობლემების გამო, ეკონომიკის ზრდა შეფერხდა და მხოლოდ 2 პროცენტი შეადგინა. ასე რომ, წელს ჩვენ ეკონომიკის ზრდასთან დაკავშირებული პრობლემების დაძლევა შევძელით.

2011 წლის ოფიციალური პროგნოზები უფრო ფრთხილია. 2010 წელს ჩვენი დასავლელი პარტნიორებისგან კიდევ იყო დახმარებები, პროგრამები, 2011 წელს მათი რაოდენობა შემცირდება, შესაბამისად, 2011 წელს 2010 წლის ეკონომიკური ზრდის ტემპი ვერ იქნება. ჩვენ მძიმე მდგომარეობაში ვართ და ძალიან სერიოზული 10-12-პროცენტიანი ეკონომიკური ზრდა დაგვჭირდება, რათა ცხოვრების დონე გაუმჯობესდეს და სოციალური ფონის დაძლევა გახდეს შესაძლებელი. ჩვენთან ოფიციალურად უმუშევრობა 17 პროცენტია, უკანასკნელ წლებში პირველად ფასების დონე „გაიქცა", ინფლაცია დაახლოებით, 11 პროცენტია. წლის დასაწყისში საარსებო მინიმუმი, დახლოებით, 120 ლარი იყო, ახლა უკვე 145 ლარია. მილიონამდე ადამიანი თავს ღარიბად მიიჩნევს და დახმარებას ითხოვს. ქვეყანაში სოციალური ფონი მძიმეა და, სამწუხაროდ, ალბათ მისი გადაწყვეტა დღეს და ხვალ ვერ მოხერხდება. საჭიროა, ძალიან მნიშვნელოვანი ინვესტიციების მოზიდვა, მაგრამ ამ საკითხში გვაქვს პრობლემები. და ეს მიუხედავად იმისა, რომ საქართველო ბიზნესის კეთების თვალსაზრისით მსოფლიოში მე-12 ადგილზეა და ლამის ყველას და ყველაფერს ვჯობნით. მაგრამ ამის შედეგი არის ის, რომ ინვესტორთა მხრიდან ჩვენი ქვეყნისადმი დამოკიდებულება არ არის შეცვლილი.

თუ 2007 წელს საქართველოში ინვესტიციები 2 მილიარდ აშშ დოლარზე მეტი იყო, ამ მაჩვენებელმა 2009 წელს მხოლოდ 660 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა. წელს, წლის პირველ ნახევარში ინვესტიციების ოდენობამ დაახლოებით 260 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა და ძალიან ოპტიმისტური გათვლებითაც კი, თუ წელს შარშანდელი ოდენობის ინვესტიცია განხორციელდა, ძალიან კარგი იქნება. წლის დასაწყისში ჩვენ ერთ მილიარდ აშშ დოლარის ინვესტიციას ველოდებოდით. ერთია რეიტინგული მაჩვენებლები და მეორეა სისტემური პრობლემები, რომელთა გამო ინვესტიციების მოცულობა ქვეყანაში შემცირებულია. არადა, საკუთარი დანაზოგები არ არის საკმარისი საიმისოდ, რომ ქვეყანამ ამ სიტუაციას თავი დააღწიოს.

**— ეკონომიკის განვითარებისთვის ხელისუფლების რომელი გადაწყვეტილება შეიძლება მივიჩნიოთ წარმატებულ გადაწყვეტილებად და რომელი — შეცდომად?**

— წლევანდელი წელი ძალიან მნიშვნელოვანი იყო ბევრი თვალსაზრისით. პარლამენტმა კონსტიტუციაში ცვლილებები დაამტკიცა, მიღებულია ახალი საგადასახადო კოდექსი. თუ როგორი იქნება ეს კოდექსი მოქმედებაში, ამას დრო გვიჩვენებს, თუმცა დღეს შეიძლება ეჭვები გამოვთქვათ იმასთან დაკავშირებით, რომ ძალიან გამკაცრებული საგადასახადო ადმინისტრირების ფონზე საქართველოში ძალიან ბევრი კომპანია დაიხურა, უამრავმა ფირმამ იმის გამო შეწყვიტა ფუნქციონირება, რომ მასში საგადასახადო ან ფინანსური პოლიცია შევიდა. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ საქართველო ცდილობს ევროკავშირის ბაზარზე გასვლას. მოგეხსენებათ, ჩვენთვის რუსეთის ბაზარი დაკეტილია და ალბათ კარგა ხანს ასე იქნება.

ჩვენი ხელისუფლება ეძებს რუსული ბაზრის ალტერნატივას, საკმაოდ სერიოზული ვიზიტები იყო როგორც დასავლეთში, ისე აღმოსავლეთის ქვეყნებში. ჩვენთვის ევროკავშირის ბაზარი ყველაზე მნიშვნელოვანია, მაგრამ ამ თვალსაზრისით ჩვენ გვაქვს პრობლემები. საუბარია ისეთი ინსტიტუციების არარსებობაზე, რომელიც ევროპაში არის, მაგრამ ჩვენთან არ არის. მიუხედავად იმისა, რომ ოფიციალურად დეკლარირებულია, რომ გვინდა ევროპული სივრცის ნაწილი გავხდეთ, სამწუხაროდ, იმ მოთხოვნებს, რომელსაც ჩვენ ევროკავშირი გვიყენებს, არ ვასრულებთ. ანტიმონოპოლიური სამსახური აღდგა, მაგრამ მისი საქმიანობისთვის ქმედითი ღონისძიებები არ გადადგმულა. ცუდი მდგომარეობაა ხარისხის კონტროლთან დაკავშირებით. პრაქტიკულად წარმოუდგენელია ჩვენ ევროპაში რაიმე ნაწარმი შევიტანოთ, თუ ხარისხის მაჩვენებლებით არ იქნება იმ სტანდარტების შესაბამისი, როგორიც ევროკავშირშია მიღებული. ამ მიმართულებით გარკვეული ნაბიჯები კი იდგმება, მაგრამ ფაქტია, რომ ეს საკმარისი აშკარად არ არის. ვიდრე ჩვენ საქართველოში არ შევქმნით ევროპაში მოქმედ მსგავს ინსტიტუციებს და მათ არ განვავითარებთ, ძალიან გაგვიჭირდება ევროპულ ბაზარზე შესვლა.

ჩვენ ევროპის ბაზარი იმიტომ კი არ გვინდა, რომ ეს იდეა-ფიქსია, არამედ იმიტომ, რომ საქართველო მიმზიდველი უნდა იყოს ინვესტორებისთვის. ინვესტორისთვის მიმზიდველობას მხოლოდ საგადასახადო კოდექსი და თავისუფალი ეკონომიკა არ ქმნის, ინვესტორს ყველაზე მეტად მოგების მიღება აინტერესებს. ჩვენ მცირე ეკონომიკის ქვეყანა ვართ და საქართველოს ბაზარზე მოგების მიღების შესაძლებლობა ძალიან მცირეა. პირველადი შეფასებებით, 2010 წელს საქართველოში მთლიანი შიდა პროდუქტი, დაახლოებით, 20 მილიარდი ლარი იქნება. ეს ძალიან მცირე მაჩვენებელია. ერთი მოქალაქე წელიწადში ძალიან ცოტა თანხას, დაახლოებით, 2600 აშშ დოლარს ხარჯავს. ანალოგიური მაჩვენებელი, მაგალითად, ლიხტენშტეინში, დაახლოებით, 120 ათასი აშშ დოლარია. მეზობელ სომხეთში ჩვენზე ოდნავ უკეთესი მდგომარეობაა, აზერბაიჯანში კი — გაცილებით უკეთესი. აზერბაიჯანთან შედარება ცოტა არაკორექტულიცაა, ვინაიდან აზერბაიჯანს ნავთობი აქვს და მას ორი წლის წინ ეკონომიკური ზრდა 35 პროცენტი ჰქონდა.

**— ხელისუფლება ბიზნესის წარმოებისთვის ლიბერალური გარემოს შექმნით შინ და გარეთ თავს იწონებს, მაგრამ ქვეყანაში ეკონომიკური მდგომარეობა აშკარად არ უმჯობესდება. თქვენი აზრით, რატომ?**

— ამისთვის ჩვენ ინვესტიციები გვჭირდება, რათა შეიქმნას ახალი სამუშაო ადგილები, ვაწარმოოთ პროდუქცია. როცა დასაქმებული ადამიანი ხელფასს მიიღებს, სხვა საქონელს იყიდის, ეს კი ის არის, რაც ეკონომიკურ ზრდას აჩქარებს. გარდა ამისა, როგორც უკვე ვთქვი, ეკონომიკურ მდგრადობას ხელს არ უწყობს პროდუქტის გასაღების მცირე ბაზარი და რუსეთთან დაკავშირებული პოლიტიკური პრობლემა. ღმერთმა დაგვიფაროს 2008 წლის აგვისტოს მოვლენების განმეორებისგან, მაგრამ ვიდრე რუსეთისგან საფრთხე კვლავაც არსებობს, საქართველო ინვესტორისთვის მიმზიდველი ქვეყანა ვერ იქნება.

**— რამდენად კვალიფიციურად დაიგეგმა 2011 წლის ბიუჯეტი?**

— მომავალ წელთან დაკავშირებით არის მოლოდინი იმისა, რომ ეკონომიკა გაიზრდება 5 პროცენტით, ფასები გაიზრდება 6-7 პროცენტით, მთლიანი შიდა პროდუქტი, დაახლოებით, 11-12 პროცენტის პარამეტრით გაიზრდება. ამ ფონზე ძალიან მნიშვნელოვანია გადასახადების ზრდა. იზრდება საშემოსავლო გადასახადი. ვეჭვობ, ეკონომიკაში ხელისუფლება გააგრძელებს „მკაცრი ხელის" პოლიტიკას და ბიუჯეტის შევსებისთვის ისევ იმავე ღონისძიებებს გაატარებს, როგორც 2010 წელს ატარებდა.

რაც შეეხება ხარჯებს, ეს პოლიტიკური გემოვნების საკითხია. სამწუხაროდ, თუ საბედნიეროდ ბიუჯეტის დამგეგმავებისა და ჩემი გემოვნება ამ თვალსაზრისით მკვეთრად განსხვავდება. დაგეგმვაში არის საკითხები, რომელშიც აშკარად ჩანს, რომ დაფინანსება მცირდება ან იმდენად მიზერულად იზრდება, რომ ამას ზრდაც არ ჰქვია. შეიძლება, გაჩნდეს სერიოზული პრობლემები სოციალურ სფეროში. ქვეყანამ რომ შეძლოს ამ ბიუჯეტით თავისი უმთავრესი ამოცანების შესრულება, „ქამრების შემოჭერის" პოლიტიკა მომავალ წელსაც აქტუალური იქნება. სამწუხაროდ, დღეისთვის უმთავრეს ამოცანად სოციალური ფონის გარკვეული შენარჩუნება რჩება, რომ შემდეგ სოციალურმა პრობლემატიკამ ქვეყანა არ წალეკოს.

**— თქვენზე რომ იყოს დამოკიდებული, ეკონომიკის სფეროში ხუთი უმნიშვნელოვანესი გადაწყვეტილების მიღება, რა გადაწყვეტილებებს მიიღებდით პირველ რიგში?**

— იმისთვის, რომ ამ კითხვაზე პასუხი გავცე, სამწუხაროდ, არა მაქვს ის ინფორმაცია, რომელიც კონკრეტული გადაწყვეტილებების მიღებისთვის არის საჭირო. მიუხედავად ამისა, გავკადნიერდები და ვიტყვი, რომ პირველი, მეორე, მესამე და ასე შემდეგ იქნებოდა ისეთი გადაწყვეტილებების მიღება, რომელიც დააჩქარებდა ევროკავშირთან საქართველოს დაახლოებას. ეს არის ინსტიტუციური და სოციალური რეფორმები და სხვა ტიპის რეფორმები, რომელიც ჩვენ ევროკავშირთან დაგვაახლოებდა და საქართველოსთვის ევროკავშირის ბაზარს გახსნიდა. ასევე, არის ისეთი საკითხები, რომელიც რუსეთის ბაზრის გახსნას უკავშირდება, მაგრამ ეს უკვე წმინდა პოლიტიკური საკითხებია. საუბარია რუსეთთან გარკვეული ტიპის მოლაპარაკებების დაწყებაზე, ვინაიდან, სამწუხაროდ, ძალიან ბევრი რამ ისევ რუსეთზეა დამოკიდებული.

**კობა ბენდელიანი**

ფორუმი

# ეკლები ევროპისკენ სავალ გზაზე

**ახალგაზრდა** ასაკის მიუხედავად, ეკონომიკური პრობლემების კვლევის ცენტრმა, რომლის მთავარი მიზანია ეკონომიკური პოლიტიკისა და მისი ცალკეული სტრატეგიების შემუშავების, ანდა შეცვლისას რამდენიმე ალტერნატივის წარმოჩენა, უკვე რამდენიმე მნიშვნელოვანი პროექტი განახორციელა. ოპტიმალური, გრძელვადიან განვითარებაზე ორიენტირებული პოლიტიკის შერჩევა და, შესაძლებლობის ფარგლებში, მისი გატარებისთვის ხელშეწყობა, ცხადია, ეროვნული ეკონომიკის საქმეა, მაგრამ პროექტი, რომლის თაობაზე გვექნება საუბარი, მთლიანად სამხრეთ კავკასიას ეხება. პროექტში — „ვუახლოვდებით ევროპას?", რომელიც ცენტრმა ფრიდრიხ ებერტის ფონდის მხარდაჭერით განახორციელა, საქართველოს, სომხეთის, აზერბაიჯანისა და გერმანიის 19 ექსპერტმა მიიღო მონაწილეობა.**

ეკონომიკა, განათლება, ჯანდაცვა, საპენსიო რეფორმა და შრომის ბაზარი — საზოგადოებრივი ყოფის ის სფეროებია, რომელთა ევროპულ სტანდარტებზე ორიენტირება სამხრეთ კავკასიის სამივე ქვეყნისთვის ნამდვილად სიკეთის მომტანი იქნება. სწორედ აღნიშნული საკითხები გახდა შარშან თებერვალში დაწყებული პროექტის მთავარი თემები.

საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის ეკონომიკური სისტემები, შესაბამისად, მიმოიხილეს ეკონომიკის დოქტორმა **ნოდარ ხადურმა,** ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატმა **ანდრანიკ ტევანიანმა** და დოქტორმა ბიზნესის ადმინისტრირებაში **საბით ბაგიროვმა.**

დამოუკიდებლობის მოპოვების შემდგომ ეკონომიკური რეფორმების გატარებას საქართველოში მრავალი ნეგატიური ფაქტორი უშლიდა ხელს, მათ შორის შინაარეულობა, კორუფცია, მძიმე კრიმინოგენური ვითარება, ენერგეტიკული და სატრანსპორტო ბლოკადა, მრავალი სხვა. ქვეყანაში სტაბილურობის დამყარების შემდეგ, ეკონომიკამ საგრძნობი ტემპით დაიწყო აღმავლობა, თუმცა ამ პროცესს „წინ აღუდგა" მსოფლიო ფინანსურ-ეკონომიკური კრიზისი და 2008 წლის ომი. ნოდარ ხადურის აზრით, სადღეისოდ საქართველოს წინაშე მდგარ პრობლემათა შორის ყველაზე მწვავეა უმუშევრობა, რომლის დონე სამხრეთ კავკასიის ქვეყნებს შორის ყველაზე მაღალია — 17 პროცენტი. ერთ-ერთი უმწვავესია საქართველოში ანტიმონოპოლიური კანონმდებლობის ფაქტობრივი უმოქმედობა და, შესაბამისად, მთავრობის მიერ თავისუფალი ბაზრის ამ უმნიშვნელოვანესი კომპონენტის სრული იგნორირება და პროცესის ადმინისტრაციული მეთოდებით მართვის უსუსური მცდელობები. როგორც შედეგი, აბსოლუტურად დაუცველია მომხმარებელთა უფლებები, ფაქტობრივად არ მოქმედებს ადგილობრივი თუ იმპორტული საქონლის ხარისხის კონტროლი. ბატონ ხადურის ხატოვანი თქმით, საქართველოს ეკონომიკა, თეორიულად, ევროპულ მოდელზეა ორიენტირებული, ფაქტობრივად კი საწინააღმდეგო მიმართულებით მიემართება. ამის მკაფიო მაგალითია შრომითი კანონმდებლობა, რომელიც დაქირავებულ მუშაკს დამქირავებლის მოჯამაგირის მდგომარეობაში აყენებს, რაც უფრო მე-18 საუკუნეს შეეფერება, ვიდრე 21-ეს.



იხ. 5 გვ.

◎ გვეხმაურებიან

# ოკეანის გაღმიდან დამოძღვრას, იქნებ სამშობლოში ჩამობრძანებულიყავით?!

ქალბატონ ნანა ტატიაშვილს არ ვიცნობ. მასზეც მას შემდეგ შევიტყვე, რაც „საქართველოს რესპუბლიკაში“ მისი სტატიის შესახებ მაცნობეს. მინდა მჯეროდეს, რომ მას და მასავით სხვადასხვა ქვეყანაში გადახვეწილ ადამიანებს, გული მართლა შესტკივათ საქართველოს მომავალზე და არა იმ კეთილდღეობაზე, რომელიც „ეროვნული ხელისუფლების“ დამხობის შედეგად, ბევრმა დღეს ემიგრირებულმა ადამიანმა დაკარგა.

მორალის კითხვა და ბრალდებების წაყენება, ოკეანის გაღმიდან – იმ „თავისუფალი ქვეყნიდან“, რომლის ყოფილმა პრეზიდენტმაც ზვიად გამსახურდიას გზას „დინების საწინააღმდეგოდ ცურვა“ უწოდა და გამსახურდიას მთავრობის დამხობის ერთ-ერთი თანაავტორი იყო, ალბათ ადვილია. ქალბატონო ნანა, თუ გამსახურდიას გზას იზიარებდით, მისი „ქართველი ერის მისიის“ არსი გესმით, უნდა მოგეხსენებოდეთ, რომ ის, რაც 1990-იან წლებში საქართველოშიც და “საბჭოთა კავშირშიც“ მოხდა, კარგად დაგეგმილი მასონურ-თალმუდისტური, ამერიკა-რუსეთის გეგმა იყო. რა დროსაც, საქართველო მაშინაც, სწორედ “გავლენის აგენტების“– კაგებეს თანამშრომლებით და დღესაც კი იგივე კაგებესა და ცერეუს აგენტებით იმართება ქვეყანა, რადგან ეს ერთი და იგივე სტრუქტურის შექმნილი ორგანიზაციებია. ეროვნულ მოძრაობაშიც, როგორც დღეს ოპოზიციაში, ამდენი აგენტიც იმიტომ ჩანერგეს. ეროვნულ მოძრაობაში მყოფი, „სოხნუთის“ წევრები, დღეს ნაციონალების ხელისუფლებაში მუშაობენ, ზოგიც ოპოზიციაშია.

ისიც არ მინდა დავიჯერო, რომ ქალბატონი ნანა ზვიადისტთა იმ ფრთას განეკუთვნება, რომელიც ამდენი წელია ყურმოკრულს გადაუმოწმებლად იმეორებს და სწორედ „თავისუფლების ქვეყნის“ იდეოლოგის – ალენ დალესის დოქტრინის მიხედვით მოქმედებს. არც მე და არც ჩემს ოჯახს, ამ კუთხით, მოსანანიებელი არაფერი აქვს. თქვენგან ნახსენებ ე.წ „ფილარმონიის მოწოდებაზე“ მეც მსმენია, თუმცა დოკუმენტური მასალის უშუალო მნახველი არ ვარ და თავად მასალა ვერ მოვიძიე ასეთის არ არსებობის გამო, ვეჭვობ თქვენ გქონდეთ ნანახი.?! ცნობისთვის, როგორც ზოგი იმეორებს, არც ავტომატი სჭერია ჩემი ოჯახის რომელიმე წევრს ხელში და არც ტელევიზიის კიბეებთან მდგარა. პირიქით, იმ პერიოდში, დღევანდელივით უმუშევრობის, ოჯახისა და ჩემი შვილების ამოწყვეტის გაუთავებელი სატელეფონო მუქარების, მამასა და ზვიად გამსახურდიას შორის დაპირისპირების გაღვივების, ცილისწამებების, საკუთარი ბინიდან გასახლების მცდელობის მიუხედავად (ასე ბოლშევიკები იქცეოდნენ და ნაციონალებიც იქცევიანძ ზვიადისტების მიმართ თანაგრძნობისა და სიბრალულის მეტი, გრძნობა არ მქონია. ყოველდღიური დაწიოკებისა და სატელეფონო მუქარების, ცხოვრების პირობების მიუხედავად, არც სხვა ქვეყნისთვის თავის შეფარების მცდელობა გვქონია და არც როგორც თქვენ წერთ, ის „პატივი და დიდება“, რითაც ვამაყობ კიდეც. „პატივისა და დიდებისთვის“ მებრძოლი თქვენგან ნახსენები „წითელი ინტელიგენცია“, დღეს „ნაციონალურ“ ინტელიგენციად იქცა.


მოინანიონ, იქნებ მიეტევოთ...
ღია წერილი ქალბატონ ბაია ამაშუკელს

ამ ტროცკისტ-ბოლშევიკური ტერმინებითაც, რატომღაც ნაციონალებიც საუბრობენ და ეროვნული ხელისუფლების თქვენისთანა მომხრეებიც. მე კი ვფიქრობდი და ვფიქრობ, რომ დღეს ყველაფერი გვერდზე არის გადასადები. ყველა ჭეშმარიტი ქართველი, საქართველოს გადასარჩენად უნდა გავერთიანებულიყავით. სიძულვილითა და სამაგიეროს გადახდით „საქართველოს ასეთმა სიყვარულმა“, მოიყვანა სააკაშვილის ხელისუფლებაც. არ ვიცი, „კოლხური კოშკიც“ თქვენ პირველად როდის მოინახულეთ?! მე და ჩემს ოჯახს, მასთან ბავშვობიდან გვქონდა შეხება. მაშინ, როდესაც ზვიად გამსახურდიას „კოლხოზნიკით“ ბაკურიანსა და გაგრაში დავდიოდით, სვანურ ქუდს ატარებდა და „კოლხური კოშკის“ ეზოში ჯიხვი და დათვი ჰყავდა. ზვიად გამსახურდიასთან მეგობრობის გამო, მამაჩემი წლობით „ნევიეზნოიც“ იყო. კაგებესგან ვიღაც დისიდენტების პროვოკაციული წერილებიც მოგვდიოდა და სხვათა შორის, იატაკქვეშ გამოცემული „საქართველოს მოამბე“, რომელიც რვა წლისამ ჩუმად წავიკითხე, დღესაც ინახება ჩემს ოჯახში. ბევრმა მაშინ ზვიად გამსახურდიას არსებობის შესახებაც არ იცოდა. კონსტანტინე გამსახურდიას შედევრებს კი, შემდგომში, როგორც ზვიადის მამის წიგნებს ისე გაეცნო. მშობლებგადასახლებული მამაჩემი, კვირაში რამდენიმე დღე, ქალბატონ მირანდასთანაც ცხოვრობდა. გადასახლებიდან დაბრუნებულ ბაბუას, თამრიკო გამსახურდია და მამაჩემი ერთად ხვდებოდნენ პერონზე. თუ მამასა და ზვიად გამსახურდიას შორის ურთიერთობა გაფუჭდა, სწორედ ისეთი ადამიანების ბრალია, ვისაც ეროვნული ხელისუფლებაც, დღევანდელიცა და მომავალიც, საკუთარი მიზნებისთვის სჭირდებოდათ. ჩემს ოჯახს, სჯერა ამის ვინმეს თუ არა, არც ერთ ხელისუფლებაში, იმაზე მეტი არ ჰქონია, ვიდრე ნებისმიერ მოქალაქეს. ქალბატონო ნანა, ვიმეორებ არ გიცნობთ, თუმცა იმ ავადსახსენებელ 1990-1991 წლებში, სწორედ ბევრმა „თქვენისთანა პატრიოტმა“ შეასრულა ის როლი, რომ ზვიად გამსახურდიას ხელისუფლება და ინტელიგენციის ნაწილი დაუპირისპირდა ერთმანეთს. ესეც გარეთ დაწერილი გეგმის ნაწილი იყო. დღესაც, 90-იანი წლების მსგავსად, რაღაც ეტაპობრივ საფეხურს უახლოვდება პოსტსაბჭოთა ქვეყნებისა და მსოფლიოს ბედი. ზვიადისტების თემის პრესაში და ტელევიზიებში ასე წინ წამოწევაც, შემთხვევითი არ მგონია.

ისიც ბევრჯერ დამიწერია და მითქვამს, რომ კანონიერება და კონსტიტუციური წყვეტა, აღსადგენია. გამსახურდიას ხელისუფლების შეცდომებიც არაერთხელ აღმინიშნავს. ზვიადისტების თემის გამო, თავის დროს, „სახალხო კრების“ ჯგუფსაც დავუპირისპირდი, რადგან ვთვლი, რომ ამისტებად და იმისტებად დაქსაქსვის დრო ახლა არ გვაქვს. ბევრი აქაური ზვიადისტი, ვითარებაში გაერკვა და დღეს ერთად ვდგავართ. თქვენ, ან 1990-იან წლებში „ჩარჩით“, ან ვიღაცის დაკვეთას ასრულებთ, ან შევარდნაძის სიძულვილით ხართ დაბრმავებული. მამაჩემსაც, ვისზეც უთქვამს ვმეგობრობო, უარის თქმა არ სჩვევია. დანარჩენს, – რას და როგორ აფასებს, ეს მისი პირადი საქმეა. იმათი გეშინოდეთ ქალბატონო ნანა, მეგობრებსა და პოზიციებს ხელთათმანებივით რომ იცვლიან და მართლა მუდმივ კეთილდღეობაში ცხოვრობენ და არა ჩემი ოჯახის წევრების (ზვიად გამსახურდიას ე.წ „მომხრეებს“ ვგულისხმობ.ძ ოკეანის გაღმიდან დამოძღვრას, იქნებ სამშობლოში ჩამობრძანებულიყავით, ქართველი ხალხის გაჭირვებით გეცხოვრათ და „ჩვენი თვალებით“ გეცქირათ რეალობისთვის. ახლა, როდესაც ოპოზიციური პარტიების მიღმა, ბევრი, სხვადასხვა სტრუქტურის შემოგზავნილი აგენტების მიუხედავად, ქართულად „მოაზროვნე ძალები“, ამისტობისა და იმისტობის მიუხედავად, ქვეყნის გადასარჩენად გაერთიანების გზებს მაინც ეძებს, გარედან, მით უმეტეს ამერიკიდან გამოგზავნილ ასეთ წერილებს მხოლოდ „დალეს-სოროსისეული თეორიის“ პრინციპად – „ცილი დასწამე და თავი იმართლოს“ მივიჩნევ. თავის სამართლებელი არაფერი მაქვს. ამას ისტორია განსჯის, მაგრამ თუთაშხიასი არ იყოს, „რა ვქნა და მაინც მოგზავნილი მგონიხართ, ქალბატონო ნანა“.

**ბაია ამაშუკელი**

◎ აგვისტოს ომის ექო

# როგორ გადაურჩა რკინიგზის ხიდი აფეთქებას...

**გოვენ იასამნიძე ერთი ჩვეულებრივი თბილისელი კაცია. 17 წელიწადია შპს „საქართველოს რკინიგზაში“ მუშაობს. უყვარს თავისი საქმე და ერთგულად ემსახურება. რედაქციაში სტუმრობა მეგობარმა, ბატონმა იგორ პატარიძემ გადააწყვეტინა. 2008 წლის აგვისტოს ომის ერთი შემთხვევა ბატონი გოვენის სახელს უკავშირდება.**

ამ ავბედითი ომის დროს რუსებმა სადგურ გრაკალთან მდინარე მტკვარზე გადებული რკინიგზის ხიდი ააფეთქეს. რკინიგზის ხელმძღვანელობამ აფეთქებული ხიდის გვერდით აგებული სათადარიგო ხიდის აღსადგენად მთელი ძალების მობილიზაცია გამოაცხადა. გოვენ იასამნიძე რვაკაციანი ბრიგადით დღე და ღამე მუშაობდა, რომ ხიდი მწყობრში მალე ჩამდგარიყო.

– ერთ დღეს, საქმეზე მომიხდა კასპში ჩასვლა, – მიყვება ბატონი გოვენი, – უკან დაბრუნებისას კასპიდან გრაკალისკენ მიმავალ დრეზინას გავყევი. ცხელოდა და კაბინაში არ შევსულვარ, ვიდექი ბაქანზე, სახელურს ჩაჭიდებული და უკან, ლიანდაგისკენ ვიყურებოდი. ბავშვობიდანვე გონებაში ჩამებეჭდა გერმანელებზე გადაღებული ფილმების დეტალები, თუ როგორ ნაღმავდნენ და აფეთქებდნენ პარტიზანები მტრის ეშელონებს, აფეთქებდნენ ხიდებს... და ახლაც, როცა მრავალი წელია რკინიგზას ვემსახურები, ყოველი გავლისას უნებურად ლიანდაგს ვათვალიერებ, თითქოს რაღაცას ვეძებ, რაღაც უნდა აღმოვაჩინო... ამჯერადაც ასე დამემართა – მით უფრო ომი მიმდინარეობდა და ათასჯერ მეტად ვფხიზლობდი...

უცებ ხიდის გადმოვლისას ე. წ. „კოწახურაზე,“ რკინიგზის 2451-ე კილომეტრზე, რომელიც ხევზეა აშენებული, თვალი მოვკარი ორივე ლიანდაგის ძირში დადებულ უცნაურად შეღებილ ყუთებს, რომლებიც ერთმანეთთან სადენებით იყო შეერთებული.

მოგეხსენებათ, რკინიგზაზე არსებული თითქმის ყველა ხელსაწყო მუქ შავ ფერებშია შეღებილი, რის გამოც ეჭვი გამიჩნდა, რომ ხიდი დანაღმული იყო.

გრაკალში ჩასვლისთანავე მოვიკითხე ხელმძღვანელობა. მითხრეს, რომ გზის უფროსი ეს-ეს არის ერთ-ერთ დრეზინაში ჩაჯდა და კასპისკენ მიემართებაო. სასწრაფოდ გავიქეცი იქითკენ და დროზე მივასწარი, რის შემდეგაც ბატონ ირაკლი ეზუგბაიას პირადად მოვახსენე ნანახისა და ჩემი ეჭვების შესახებ. მან მაშინვე გამოიძახა მაშინდელი აღმოსავლეთ სალიანდაგო სამმართველოს უფროსი ბატონი გია ქაჯაია, რომელიც გრაკალში სამუშაოებს ხელმძღვანელობდა და დაავალა ჩემი ინფორმაციის შემოწმება, რომელიც, რა თქმა უნდა, სინამდვილე აღმოჩნდა. ამის შემდეგ მე და კასპის სადგურის უფროსი თამაზ ქონიაშვილი ჩამოვედით დრეზინიდან და ფეხით გავემართეთ ხიდისკენ, ხოლო ხელ-



მძღვანელობა გრაკალთან დაბრუნდა.

ადგილზე მისულებმა კარგად დავათვალიერეთ ხიდი, რის შემდეგაც ხიდის ქვეშ, ბურჯებთან შედგმული კიდევ 13 ცალი ყუთი აღმოვაჩინეთ, რომლებიც ერთმანეთზე სადენებით იყო გადაბმული და მაღლა, ლიანდაგებთან მიდგმულ ნაღმებს უერთდებოდა.

ასე ააფეთქეს გრაკალის ხიდიც. ამის შემდეგ ჩვენ მომხდარის შესახებ კასპის პოლიციას შევატყობინეთ, რომელიც მალევე მოვიდა ადგილზე და ხიდის ქვეშ გამავალი საავტომობილო გზაც გადავკეტეთ. პოლიციის უფროსმა, რომელიც თუ არ ვცდები ახალი დანიშნული იყო, მაშინვე გადარეკა თბილისში და გამნაღმველების ჩამოსვლა მოითხოვა.

უკვე შებინდებული იყო, როცა ხიდის შემოგარენი დავტოვე და ფეხით გავემართე კასპისკენ,სადაც ნათესავებთან ღამე უნდა გამეთია...

ბატონი გოვენი ფიქრობს, რომ ნაღმი დისტანციურად იმართებოდა, ნაღმებიდან ორი მუქი ლურჯი სადენი ლიანდაგს გარეთ, ბალახებში მიემართებოდა და შორიდან აფეთქებაზე იყო გათვლილი. რუსები დაღამებას ელოდნენ. ამიტომაც ხიდი არ აფეთქდა, როცა ჩვენ გადმოვიარეთ დანაღმული ლიანდაგიო...

ბატონი გოვენისთვის მძიმედ გასახსენებელია ის დღეები, როდესაც მეგობრებთან ერთად გრაკალის ხიდის აღდგენაზე მუშაობდა. „ეს ხიდი მთების ძირში მდებარეობს. წარმოიდგინეთ, როგორ გუნებაზე დავდგებოდით, როცა ის-ის იყო მუშაობა დავიწყეთ და მთის ყველა წვერს რუსების ტანკები მოადგნენ. ლულები ქვევით, ჩვენი მიმართულებით დაუშვეს და დაგვიმიზნეს...

არც ერთი ჩვენგანი არ გავჩერებულვართ, მაგრამ მათი სამიზნე ვიყავით, შეიძლებოდა, რაიმე პროვოკაციაც მოეწყოთ. 4 დღე ვმუშაობდით და ტანკები იქიდან არ წასულან. ხიდი მაინც აღვადგინეთ...“

რკინიგზის ხელმძღვანელობამ დამატებითი ხელფასით დააჯილდოვა ეს ადამიანები. ომი ოდენ მტერთან პირისპირ ბრძოლა არ არის, გოვენ იასამნიძემ და მისმა მეგობრებმაც იომეს. რომ არა ბატონი გოვენის სიფხიზლე და საქმის ერთგულება, ვინ იცის, ის ნაღმები რამდენ ახალ მსხვერპლს მოგვიტანდა.

ამჟამად იგი აღმოსავლეთ სალიანდაგო სამმართველოს საცავ ტ/ნ რეგიონის თბილისის უბნის უფროსია. რკინიგზაზე თბილისის ფარგლებში სადგურების კეთილმოწყობა, სატყეო ზოლების, გაზონების, სკვერების განახლება-აღდგენა, ახალი ტყეების გაშენება ევალება.

ასეთი ადამიანები მრავლად არიან. ისინი ჩვენს გვერდით დაიარებიან, თითქოს უმნიშვნელონი, მაგრამ ისინიც ქმნიან ისტორიას, ნამდვილს და მართალს. ისინი უსახელო უფლისციხელთა გვარდიელები არიან...

**თამარ შაიშმელაშვილი**

ფორუმი

# მკლემბი მვროპისკენ სავალ გზაზე

(მესამე გვერდიდან)

კვლევითი ინსტიტუტის „პოლიტეკონომიის“ დირექტორის ანდრანიკ ტევანიანის განცხადებით, სსრ კავშირის დაშლის შემდეგ დამოუკიდებელი განვითარების გზაზე სომხეთმა სამი ეტაპი განვლო. 1991-2000 წლებში ქვეყანაში ოლიგარქთა ერთგვარი კასტა ჩამოყალიბდა, რის შედეგად ყოველმხრივ დარღვეული იყო თავისუფალი ბაზრისა და კონკურენციის პრინციპები. სისტემა იმდენად მწყობრად მოქმედებდა, რომ უმაღლესი რანგის ჩინოსანთა ცვლა მდგომარეობას იოტისოდენაც არ ცვლიდა.

2000 წლის შემდგომ, ვიდრე 2007 წლამდე, სომხეთში ეკონომიკური ვითარების შეცვლა დაიწყო, რაც იმით გამოიხატებოდა, რომ ბატონ ტევანიანის თქმით, მცირე და საშუალო ბიზნესს მისთვის განკუთვნილ, ბაზრის „მოჭრილ ნაწილზე“ მოქმედება შედარებით თავისუფლად შეეძლო. თუმცა უფრო „მძიმე კატეგორიაში“ გადასვლის მცდელობა მკაცრად აკრძალული იყო. მესამე ეტაპი კი, სომეხი მეცნიერ-ეკონომისტის თქმით, უკვე სამი წელია მიმდინარეობს და იმის იმედის საფუძველს იძლევა, რომ ხელისუფლებისა და ეკონომიკის განცალკევება, ამ უკანასკნელის პრიორიტეტებად მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების ხელშეწყობა, ასევე, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, მრეწველობის ექსპორტზე ორიენტირება და, შესაბამისად, საერთაშორისო ბაზრებზე ადგილის დამკვიდრება, ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის მნიშვნელოვან გაუმჯობესებას შეუწყობს ხელს.

ჩვენი მხრივ ამას შეგვიძლია დავამატოთ, რომ ამ თეზისის სრულად გადმოტანა საქართველოს ეკონომიკასა და არსებული სოციალურ-ეკონომიკური ფონის გასაუმჯობესებლად, სავსებით მართებულია.

აზერბაიჯანის მრეწველობის განვითარების ფონდის პრეზიდენტის საბით ბაგიროვის თქმით, დამოუკიდებლობის მოპოვების დროიდან მოყოლებული, ქვეყნის ეკონომიკამ სხვა პოსტსაბჭოური სივრცის ქვეყნების მსგავსი სირთულეებით აღსავსე გზა გაიარა, რაც, უწინარესად, კერძო სექტორის ჩამოყალიბებაში, სახელმწიფო ქონების პრივატიზებაში, ფასების ლიბერალიზაციაში, კომერციული ბანკების შექმნასა და ა.შ. გამოიხატა.

სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავალ-გასავლის საგრძნობი ზრდა 2005 წლიდან დაიწყო — მას შემდეგ, რაც აზერი-ჩირაღ გიუნეშლის ნავთობის საბადოზე მსხვილმასშტაბიანი მოპოვების დაწყების მერე, მნიშვნელოვნად გაიზარდა აზერბაიჯანული ნავთობის ექსპორტი. აზერბაიჯანის ეკონომიკის მთავარი პრობლემა, ბატონ ბაგიროვის აზრით, მისი ნავთობის მოპოვება-გასაღებაზე დამოკიდებულებაა, რომელსაც მთლიანი საგარეო ვაჭრობის სექტორის 95 პროცენტი უკავია. სადღეისოდ ხელისუფლების მთავარი საფიქრალია ნავთობით ვაჭრობიდან მიღებული შემოსავლის განკარგვა, ამდენად იგი ნაკლებადაა დაინტერესებული სხვა დარგებში უცხოური ინვესტიციების მოზიდვით. არადა ეს პირდაპირი დანაშაულია ეკონომიკის სხვა, არანაკლებ მნიშვნელოვანი, ქვეყნისთვის ტრადიციული დარგების წინაშე.

ბოლოს საგანგებოდ გვინდა გამოვყოთ ეკონომიკის დოქტორის დავით ნარმანიას საექსპორტო ნამუშევარი, რომლის თემა გახლდათ „განათლების სისტემა საქართველოში, სომხეთისა და აზერბაიჯანის რესპუბლიკებში“. კერძოდ, მხედველობაში გვაქვს მოხსენების თეზისი, რომ ბოლო წლებში საქართველოში თანდათანობით იზრდება განათლების წილი მთლიან შიდა პროდუქტში, ასევე განათლებაზე გაწეული ხარჯი მასთან შეფარდებაში. მიუხედავად მთლიანად განათლების სისტემის მთელი რიგი მნიშვნელოვანი ხარვეზისა, ეს გარემოება მაინც ერთობ საგულისხმოდ გვეჩვენება, რომელიც იმის იმედს გვიღვივებს, რომ საქართველო კვლავაც დარჩება გამორჩეულ ქვეყნად განათლების მხრივ არა მარტო სამხრეთ კავკასიაში, არამედ მსოფლიო თანამეგობრობაშიც.

**ოთარ ტურაბელიძე**

მადლობა

# სიკეთის ძალა

**უზარმაზარი ძალა აქვს სიკეთეს, გამამხნევებელ-გამაძლიერებელი. როცა სიკეთე, ყურადღება ხელისუფლებისგან მოდის, გრძნობ, როგორ ქრება პესიმიზმი და იმედი ისახება გულში.**

**...შორს დარჩა ჩაბნელებული ქუჩები, მოუწესრიგებელი გზები... ერთი ასეთი იყო ჩვენი სახლებისკენ მიმავალი ქუჩაც. აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის დავით თოფურიას და მუნიციპალიტეტის გამგებლის გურამ გუნავას უშუალო ძალისხმევით ადამ ჩხაიძის ქუჩაზე წლობით მოუწესრიგებელი პრობლემა გადაიჭრა — მოეწყო განათება, მოასფალტდა გზა, რის გამოც მოსახლეობა უსაზღვრო მადლიერებას გამოხატავს მათ მიმართ და ლოცვას და კეთილ სიტყვას არ იშურებს.**

**დამდეგ ახალ წელს გილოცავთ, ჩვენო კარგო ადამიანებო, დაე, თქვენი ძალა და ენერგია დიდხანს მსახურებდეს აბაშელებს.**

**ადამ ჩხაიძის ქუჩის მცხოვრებთა სახელით**

**იზოლდა გაბელაია,**
**რესპუბლიკის დამსახურებული ეკონომისტი**

რექტორის არჩევნების წინ

**მე-20 საუკუნის პირველ ნახევარში, ქართველი ერის ცხოვრებაში ორი ისეთი მნიშვნელოვანი მოვლენა მოხდა, რომ მათი დავიწყება არამც და არამც არ შეიძლება. 1918 წლის 26 იანვარს, თბილისში ივანე ჯავახიშვილის ხელმძღვანელობით ქართული უნივერსიტეტი გაიხსნა. ხოლო, ოთხი თვის შემდეგ 1918 წლის 26 მაისს, თბილისში საქართველოს დამოუკიდებლობა გამოცხადდა.**



თსუ-ს შენობა 1920-იან წლებში

# უნივერსიტეტი სათუთად მოსავლელი სასწავლებელია

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს ისეთივე მოვალეობა აკისრია ქვეყნისა და ერის წინაშე, რაც საუკუნეების მიღმა ჰქონდა ჯვარს, სვეტიცხოველს, ალავერდს, გელათს, ბაგრატს, ოშკს, ხახულსა და ბანას... ქართველი ხალხის ცოდნასა და განათლებაში არც ერთ უმაღლეს სასწავლებელს არ მიუძღვის იმხელა წვლილი, რამდენიც ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორობა კი მუდამ რჩეულთა ხვედრი და საპატიო მისია იყო. 92 წლის მანძილზე უნივერსიტეტს 26 რექტორი ჰყავდა. მათ შორის მხოლოდ ერთი მანდილოსანი (რუსუდან ლორთქიფანიძე) იყო.



თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, მისი დაარსების დღიდან თავი მოიყარეს ისეთმა გამოჩენილმა მეცნიერებმა, როგორებიც იყვნენ: ივანე ჯავახიშვილი, ექვთიმე თაყაიშვილი, პეტრე მელიქიშვილი, კორნელი კეკელიძე, ფილიპე გოგიჩაიშვილი, შალვა ნუცუბიძე, აკაკი შანიძე, ანდრია რაზმაძე, გიორგი ახვლედიანი, გიორგი ჩუბინაშვილი, ანდრია ბენაშვილი, ალექსანდრე ნათიშვილი, სპირიდონ ვირსალაძე, ვარლამ მოსეშვილი, ივანე თიკანაძე, არჩილ ხარაძე, გრიგოლ რუხაძე, ივანე ბერიტაშვილი, იუსტინე აბულაძე, სოლომონ ქურდიანი და სხვები. მართლაც, რომ დიდებული თაობაა.

ახლა დავუბრუნდეთ უნივერსიტეტის რექტორებს. უნივერსიტეტის პირველი და მეორე რექტორი, პეტრე მელიქიშვილი და ივანე ჯავახიშვილი, აგრეთვე გიორგი ძოწენიძე, ევგენი ხარაძე, ილია ვეკუა საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსები იყვნენ, ალექსანდრე ჯანელიძე, ნიკო კეცხოველი, ვიქტორ კუპრაძე, დავით ჩხიკვიშვილი, ვაჟა ოკუჯავა, ნოდარ ამაღლობელი, ოთარ ჯაფარიძე და როინ მეტრეველი — საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსები.

უნივერსიტეტს ყველაზე დიდხანს — 13 წელი (1991-2004ძ უძღვებოდა აკადემიკოსი როინ მეტრეველი. 8 წლის მანძილზე უნივერსიტეტის თავკაცი იყო აკადემიკოსი დავით ჩხიკვიშვილი (1972-1980ძ. სხვადასხვა დროს შვიდ-შვიდი წელი უნივერსიტეტს უძღვებოდნენ აკადემიკოსები: ივანე ჯავახიშვილი (1919-1926ძ, ნიკო კეცხოველი (1945-1953ძ, ევგენი ხარაძე (1959-1966ძ. ექვს-ექვსი წელი რექტორად იყვნენ, აკადემიკოსი ილია ვეკუა (1966-1972ძ და აკადემიკოსი ნოდარ ამაღლობელი (1985-1991ძ.

უნივერსიტეტის ისტორიას თვალს თუ გადავავლებთ, მწარედ გაგვახსენდება 1926 წლის 21 ივნისი, როდესაც უმადურმა კომუნისტურმა ხელისუფლებამ რექტორის თანამდებობიდან გაათავისუფლა ივანე ჯავახიშვილი და თან საერთოდ დაითხოვა მის მიერ დაარსებული უნივერსიტეტიდან.

უნივერსიტეტის ცხოვრებაში მოხდა ისეთი ფაქტიც, რომლის დავიწყება არამც და არამც არ შეიძლება. ფაქტი, რომელიც თავისი მაღალი ადამიანური თვისებებით დიდ მოწონებასა და დაფასებას იმსახურებს. 1945 წელია. უნივერსიტეტის დიდ სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე, სადოქტორო დისერტაციას თემაზე „ვაჟა-ფშაველას ფენომენი“ იცავდა გრიგოლ კიკნაძე. რესპუბლიკის პარტიულ ხელმძღვანელობას არ მოეწონა სადისერტაციო ნაშრომის თემა და მისი ჩაგდება დააპირა. რა თქმა უნდა, ამის შესახებ უნივერსიტეტის რექტორს, აკადემიკოს ალექსანდრე ჯანელიძეს სათანადო დავალება მისცეს. ბატონმა ალექსანდრე ჯანელიძემ გამოიჩინა დიდი ადამიანური შეგნება და მოუწოდა დიდი სამეცნიერო საბჭოს წევრებს, რათა გამოეჩინათ მეცნიერული კეთილსინდისიერება. მიუხედავად ამისა, დისერტაცია მაინც ჩავარდა. შელახული იქნა დისერტანტის პატიოსნება. მაშინ, ყველაზე მაღლა თავისი საქციელით რექტორი ალექსანდრე ჯანელიძე დადგა. მან პროტესტის ნიშნად დატოვა რექტორის თანამდებობა. ასეთი ნაბიჯის გადადგმას მაშინ დიდი რისკი და გამბედაობა სჭირდებოდა. სწორედ ასეთმა პიროვნებებმა შეუქმნეს ავტორიტეტი უნივერსიტეტს და არა ისეთმა ჩიტირეკიებმა, როგორებიც ზოგიერთები იყვნენ.

ახლახან გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ №226, 4.XII, გამოქვეყნდა „ქართული აკადემიის“ დასკვნა საქართველოში ჩატარებული განათლების რეფორმის შესახებ. მადლობა მათ ასეთი ობიექტური დასკვნის გამოქვეყნებისთვის. აქვე მოვიტან პატარა ამონარიდს აღნიშნული დასკვნიდან:

„ხელისუფლების ერთ-ერთი უპირველესი სამიზნე გახდა უნივერსიტეტების ავტონომია. პრეზიდენტის ბრძანებულების საფუძველზე, პირველ რიგში შეჩერდა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭოს უფლებამოსილება და შემოღებული იქნა პირდაპირი საპრეზიდენტო მმართველობა; პრაქტიკულად შეწყდა უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევითი სექტორის დაფინანსება, პროფესორ-მასწავლებელთა ატესტაცია კი ჩატარდა ნაჩქარევად, სრულიად არაობიექტურად და არსებითად პოლიტიკური ნიშნით; მრავალი მაღალი კვალიფიკაციის სპეციალისტი, გამოცდილი პედაგოგი და ცნობილი მეცნიერი იძულებული გახდა ან დაეტოვებინა ეს დაწესებულება, ან შეგუებოდა ძალმომრეობას, ტრადიციული ფაკულტეტების გაუქმებას და სახელგანთქმული სამეცნიერო სკოლების მოშლას. ხელოვნურად, ახალგაზრდების მოსყიდვითა და გადმობირებით შეიქმნა ე. წ. „სტუდენტური თვითმმართველობის“ ორგანოები, რომლებიც მმართველი პარტიის ახალგაზრდულ ფრთას წარმოადგენდნენ. რა გასაკვირია, რომ საქართველოში უძველესი, ყველაზე ავტორიტეტული უმაღლესი სასწავლებელი დღეს არსებითად რიგითი (თანაც არც ისე მაღალი დონისძ კოლეჯის სტანდარტსაც კი ვერ აკმაყოფილებს. ახლანდელი გადასახედიდან ცხადია, რომ ეს გაკეთდა ლიბერალურ რიტორიკას ამოფარებული ტოტალიტარული იდეოლოგიური დიქტატისა და პოლიტიკური კონტროლის განსახორციელებლად, უპრეცედენტო პოლიტიკური რბევისა და ძალადობის თანხლებით“.

აღნიშნულ დასკვნაში ყველაფერი იდეალურად არის ნათქვამი. ახლა მთავარია, გაითვალისწინებს თუ არა ამას ახლად არჩეული რექტორი. რა გზას აირჩევს იგი: აღადგენს ტრადიციულ ფაკულტეტებს, ამით დაუბრუნებს უნივერსიტეტს ძველ ავტორიტეტს თუ კვლავ დარჩება იგი დაბალი რანგის კოლეჯის დონეზე? ღმერთმა ნუ ქნას. ჩვენ მაინც მომავალს იმედის თვალით შევცქერით!

**დურმიშხან ცინცაძე**

## 21 დეკემბერი იოსებ სტალინის (ჯუღაშვილის) დაბადების დღეა

*ახლახან ხელში ჩამივარდა 2008 წელს მოსკოვის გამომცემლობა „დიზოინ ხაუსის“ მიერ გამოცემული „უშიშროების გენერალ ვ. .ა კაკუჩაიას მოგონებანი“. რადგან ბევრისთვის ეს გვარი შეიძლება უცნობი იყოს, მკითხველს შევახსენებ, რომ უშიშროების გენერალ-მაიორი ვარლამ კაკუჩაია სხვადასხვა დროს იყო აფხაზეთის ასსრ შინაგან საქმეთა მინისტრი, სამხრეთ ოსეთის აო და საქართველოს სსრ უშიშროების სახალხო კომისარი, მუშაობდა პარტიულ სამუშაოებზე — საქ. კპ ცკ-ში, ფოთის ქალაქკომის პირველ მდივნად.*

*დიდი სამამულო ომის წლებში მუშაობდა სსრკ შინსახკომის ცენტრალურ აპარატაში, ი. სტალინის განკარგულებით შექმნილი IV სპეციალური სამმართველოს უფროსის პ. ა. სუდოპატოვის მოადგილედ. ამ საგანგებო ჯგუფის სამოქმედო არეალში შედიოდა დაზვერვა, ტერორი და დივერსიები, პარტიზანული მოძრაობა მტრის ზურგში. მონაწილეობდა მრავალ საბრძოლო ოპერაციაში. როცა გერმანელები კავკასიას მოადგნენ, უმაღლესი მთავარსარლობის ბანაკმა ვ. კაკუჩაია გენერალთა ჯგუფის შემადგენლობაში კავკასიაში გაგზავნა მტრის გასანადგურებლად ლ. პ. ბერიას მეთაურობით.*

*ასრულებდა მნიშვნელოვან სახელმწიფო დავალებებს, მათ შორის ცნობილი თეირანისა და იალტის კონფერენციების უშიშროების უზრუნველსაყოფად. ომის დამთავრების შემდეგ მივლინებული იყო გერმანიაში სსრკ შინსახკომის რწმუნებულად. შემდეგ იყო ნოვოსიბირსკის, როსტოვის ოლქების სახელმწიფო უშიშროების სამმართველოთა ხელმძღვანელი. 1953 წ. მარტში ვ. კაკუჩაია კვლავ გამოგზავნეს საქართველოში, ჯერ შინაგან საქმეთა მინისტრად, აპრილში კი ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის კონტრდაზვერვის უფროსად, შემდეგ დააპატიმრეს და 15 წელი მიუსაჯეს ე. წ. „ბერიას საქმის“ გამო.*

*გარდაიცვალა 1982 წელს 77 წლისა. დაჯილდოებული იყო 3 ბრძოლის წითელი დროშის, 2 წითელი ვარსკვლავის, კუტუზოვის II ხარისხის, შრომის წითელი დროშის, „საპატიო ნიშნის“ ორდენებით.*

*დაბოლოს ორიოდ სიტყვა თვით წიგნზე. გენერალი კაკუჩაია წერს იმაზე, რაც ნაკლებად ცნობილია ფართო მკითხველისთვის. ეს არის კავკასიის გმირული დაცვა, რომელიც მჭიდროდ არის დაკავშირებული ადგილობრივი მოსახლეობის (სვანების) გმირულ შემართებასთან, მათგან სპეციალური ბატალიონის შექმნასთან, „ირანის ფრონტის“ თითქმის უცნობი ფურცლები, მოწინააღმდეგის მსხვილი დივერსიული სკოლის „ვალის შტაბის“ ნეიტრალიზაცია, შეხვედრები მარშალ ჟუკოვთან, ამერიკის საოკუპაციო ზონის ხელმძღვანელთან, მომავალ პრეზიდენტ გენერალ დუაიტ ეიზენჰაუერთან, შთაბეჭდილებანი სტალინზე, როგორც გამარჯვების შემოქმედზე და სხვ.*

*ერთიც. მოგონებები ავტორს დაუმთავრებელი დარჩა. რაც მთავარია, იგი მას წერდა არა დასაბეჭდად, არამედ „შვილებისა და შვილიშვილებისთვის“, რათა მათ სცოდნოდათ ვინ იყო და როგორ იცხოვრა მათმა პაპამ. ამიტომ ფაქტები გადმოცემულია შეულამაზებლად, ისე, როგორც იყო, რაც მეტ ღირსებას მატებს მას მკითხველის თვალში.*

*მოგვყავს რამდენიმე ეპიზოდი წიგნიდან.*


ვარლამ კაკუჩაია

# მჭედელი გამარჯვებისა

ვარლამ კაკუჩაია იგონებს ბერლინში 1946 წელს მომხდარ ეპიზოდს, რომელიც ზუსტად წარმოაჩენს სსრკ ჯარების ჯგუფის ხელმძღვანელს გერმანიაში, სახელგანთქმულ მარშალ ჟუკოვს, რომელიც ვარლამის სიტყვით, დიდი მხედართმთავარი კი იყო, მაგრამ იმავე დროს თავის თავზე შეყვარებული, ჯიუტი და უხეში კაცი გახლდათ, არ ჰყოფნიდა თვითკრიტიკულობა, ბევრს „მე“-მეობდა, იქაც კი, სადაც ეს სრულიად არ იყო საჭირო, ხოტბას შემწყნარებლურად იღებდა. ყველამ უწყოდა მის ეს წვრილმანი(!ძ ნაკლოვანებანი, მაგრამ თქმას ვერავინ უბედავდა. ჟუკოვი, როგორც გამოჩენილი მხედართმთავარი, რომელმაც უზარმაზარი როლი შეასრულა ფაშისტური გერმანიის დამარცხებაში, თავის წიგნში ზოგიერთ ეპიზოდს არაობიექტურად აფასებს, თავის თავზე იწერს ყველა წარმატებულ ოპერაციას და პირიქით — ჩავარდნებს სტალინს აბრალებს, რის შესახებაც ერთობ ფრთხილად არის კიდეც ნათქვამი ს.მ. შტემენკოს წიგნში „გენერალური შტაბი ომის წლებში“.



ერთ კვირა დღეს, ვარლამს შინ გაუარა სსრკ-ის შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილემ, შსს-ს ოპერსექტორის ხელმძღვანელმა ი. ა. სეროვმა. სეროვს არავითარი შეხება არ ჰქონდა კაკუჩაიას სამსახურთან, რომელიც დაზვერვის საკითხებით იყო დაკავებული და უშუალოდ სსრკ-ის სახელმწიფო უშიშროების მინისტრს ექვემდებარებოდა.

მით უფრო უცნაური იყო, რომ სეროვმა კაკუჩაიას შესთავაზა ერთად წასულიყვნენ ჟუკოვის ბინაში, იქ ისეთ რამეს გაჩვენებ, არც დაგესიზმრებაო. თითქმის ძალისძალად წაიყვანა. მარშლის დაცვა მათ იცნობდა და პირდაპირ სახლში შეიყვანეს... პირველ სართულზე მათ დაინახეს ჟუკოვი — ორი გერმანელი მოქანდაკის წინაშე პოზირებდა, რომლებიც გრანტისგან მარშლის ბიუსტს აქანდაკებდნენ. სეროვმა, მისალმების შემდეგ, ხუმრობით უთხრა: „გიორგი კონსტანტინოვიჩ, ცოტა მხიარული სახე მიიღეთ, ბიუსტი ძალიან პირქუში გამოვა“. გერმანელები მიხვდნენ რაც ითქვა და სწრაფად დაეთანხმნენ: „ია, ია“. აშკარად ეტყობოდა, რომ ჟუკოვმა მათი მოულოდნელი მისვლით უხერხულობა იგრძნო და იძულებითი შესვენება გამოაცხადა. გერმანელები გვერდით ოთახში გავიდნენ, ბინის პატრონმა კი წამოდგომა ვერ მოასწრო, რომ „ვჩ“ ტელეფონმა დარეკა. ჟუკოვი უმალ შველივით წამოხტა, ყურმილი აიღო და ისე გაიჭიმა, როგორც ჯარისკაცი გენერლის წინაშე: „გისმენთ, ამხანაგო სტალინ!“ სეროვი და კაკუჩაია მარშალთან ძალზე ახლოს იდგნენ და სტალინის სიტყვები მკაფიოდ ესმოდათ.

სტალინმა დაახლოებით ეს უთხრა: „სანამდე დაეცით, ამხანაგო ჟუკოვ, პოზირებთ ფაშისტი მოქანდაკეების წინაშე, რომლებიც ამ ცოტა ხნის წინათ ნაცისტი ფელდმარშლებისა და გენერლების ბიუსტებს ქმნიდნენ. ახლა ისინი თქვენ შეცვალეთ. ნუთუ ფიქრობთ, რომ გერმანელები ბერლინში ხელოვნების უკეთეს ნაწარმოებს შექმნიან, ვიდრე ჩვენი, საბჭოთა მოქანდაკეები მოსკოვში? რატომ დაკარგეთ თავმდაბლობის და პასუხისმგებლობის გრძნობა საბჭოთა ხალხის მიმართ, რომელიც ნახევრად მშიერ შვილებს ლუკმას აკლებენ და თქვენ გიგზავნიან ნაირ-ნაირ პროდუქტს საბჭოთა არმიისა და გერმანელი ხალხის სარჩენად. თქვენ კი, იმის ნაცვლად, რომ აქტიურად ეძიოთ ფაშისტების მიერ მიმალული ხორბლის, შაქრისა და სხვა პროდუქტების კოლოსალური სამხედრო მარაგი (ლაპარაკია 40 ათასს ტონაზე — **ს.ა.**ძ ფაშისტი მოქანდაკეების წინაშე პოზირებთ. დაუყოვნებლივ შეწყვიტეთ ეს სისულელე და მიხედით თქვენს პირდაპირ მოვალეობას, მათ შორის გერმანიის სახალხო მეურნეობის აღდგენას ჩვენს საოკუპაციო ზონაში“.

სტალინთან ლაპარაკის დროს ფერდაკარგული მარშალი ჟუკოვი მხოლოდ ამას იმეორებდა: „შევცდი, ამხანაგო სტალინ, დამნაშავე ვარ ამხანაგო სტალინ, ყველაფერი გავიგე, ეს აღარ გამეორდება“ და ა. შ.

თავს უხერხულად ვგრძნობდი ამ უსიამოვნო ლაპარაკის მოწმე რომ გავხდი, თუმცა მე არაფერ შუაში არ ვიყავი, წერს კაკუჩაია.

როცა გიორგი კონსტანტინოვიჩმა ტელეფონის ყურმილი დადო, ძალზე აღელვებული სტუმრებს მიუბრუნდა: „თქვენ ჩემი მეგობრები არა ხართ, თქვენ დამსმენები, ენაჭარტალები და მეშურნეები ხართ“.

მოგვიანებით ჟუკოვმა კაკუჩაიას მოუბოდიშა, ჩემი სიტყვები თქვენად არ მიიღოთ, ვიცი რომ სტალინთან სეროვმა დამაბეზღაო.




კაკუჩაია იგონებს ომის შემდეგ ბერლინში დავალებით ჩასული ხრუშჩოვის ნაამბობს მისი, მარშალ ჟუკოვის და სეროვის თანდასწრებით თუ როგორ შეახურა იგი ერთხელ სტალინმა, როგორ ჩაუკაკუნა მელოტ თავში ჩიბუხი. ეს მოხდა მაშინ, როცა ჩვენი ჯარების მიერ კიევის დატოვების შემდეგ ის მოსკოვში ჩავიდა და სტალინს წარუდგა შემდგომი საქმიანობის შესახებ მითითების მისაღებად.

— სტალინი ცივად შემხვდა — თქვა ხრუშჩოვმა — მკითხა, სად არიან შენს მიერ მიტოვებული რესპუბლიკის ხელმძღვანელი მუშაკებიო. მე ავუხსენი, რომ ბევრი მათგანი იატაკქვეშეთში დარჩა, დანარჩენები კი საბჭოთა არმიის ნაწილებთან ერთად თავდაცვით ლონისძიებებში მონაწილეობენ-მეთქი. სტალინი უხმოდ სცემდა ბოლთას კაბინეტში, შემდეგ ჩემთან მოვიდა და მამაშვილურად (?! — **ს.ა.**)მითხრა: „კიევი გერმანელებს ჩააბარე, თვითონ კი მოსკოვში გამოიქეცი, ეშმაკმაც წაგიღოს, შე წყეულო!“. რა თქმა უნდა, ეს საწყენი იყო, მაგრამ მე ისე მივიღე, როგორც შვილის მიმართ მამის საყვედური, რომელმაც მისი მითითება ვერ შეასრულა“.

და გალანძღული, თავში ჩარტყმული ხრუშჩოვი... თავგადაკლული აქებ-ადიდებდა სტალინს.

კაკუჩაია მიუთითებს, მე ვიცი, რომ ხრუშჩოვმა არასწორად მოახსენა სტალინს. მან დაკარგა ყველა თავისი სახალხო კომისარი და უკრაინის კპ ცეკას პასუხისმგებელი მუშაკები.

სტალინი გააცოფა არა იმდენად უკან დახევამ, რამდენადაც არაორგანიზებულობამ, იატაკქვეშეთის ცუდმა ორგანიზებამ, საბრძოლო დივერსიული ჯგუფების არაარსებობამ. სტალინი შეშფოთებული გვეკითხებოდა ხოლმე, რატომ არ ისმის კიევის ხმაო.

კაკუჩაია დიდხანს ფიქრობდა, თუ რით იყო გამოწვეული ხრუშჩოვის მიერ სტალინის ასეთი უჩვეულო და უადგილო ხოტბა, მაინცდამაინც ჩვენი თანდასწრებით? შთაბეჭდილება შეექმნა, რომ ნიკიტას სიტყვები გულიდან არ მოდიოდა, რაღაც ფარული მიზნით ლაპარაკობდა. და ბოლოს მივიდა დასკვნამდე, რომ ხრუშჩოვს, დღენიადაგ ახსოვდა, თუ როგორ გაჯორა იგი სტალინმა, იმასაც გრძნობდა, რომ სტალინსაც ახსოვდა ეს ამბავი და ერთ დღეს მოისროდა ხელისუფლებიდან, ამიტომ ვირეშმაკული გზა აირჩია და იმ მიზნით, რომ იქნებ რომელიმე მათგანს სტალინის ყურამდე მიეტანა მისი ერთგულების ამბავი, განსაკუთრებით ის, თუ რა „მამაშვილურ“ დატუქსვად შეაფასა მან სტალინის მიერ მიყენებული შეურაცხყოფა.

როდესაც ეს მოსაზრება მარშალ ჟუკოვს გაუზიარა, ის მთლიანად დაეთანხმა კაკუჩაიას მოსაზრებას.

ძალზე საინტერესოა მთავრობის დაცვის სამმართველოს უფროსის მოადგილის, გენერალ-ლეიტენანტ ალექსანდრე (საშა) ეგნატაშვილის ვარლამისთვის ნაამბობი 1941 წლის ოქტომბრის საგანგაშო დღეებზე.



გიორგი ჟუკოვი



ალექსანდრე ეგნატაშვილი

„დღეს გამომიძახა ცკ-ის პარტბიუროს და თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის ერთმა წევრმა და მითხრა, ჩვენ, პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელებმა გადავწყვიტეთ ი. სტალინის ევაკუაცია მოსკოვზე უფრო უსაფრთხო ადგილას, რათა მან იქიდან უხელმძღვანელოს ქვეყანას და ფრონტს. მისი მოსკოვში ყოფნა ძალზე საშიშია, მით უფრო, რომ საჰაერო განგაშის დროსაც არ ტოვებს კაბინეტს. ჩვენ ვიცით, რომ უსტალინოდ გამარჯვება არ იქნება. ჩვენი წინადადება მოსკოვის დროებით დატოვების შესახებ სტალინმა შეაფასა, როგორც სიმხდალე, პანიკიორობა და კაპიტულანტობა და განაცხადა, არასოდეს დავტოვებ მოსკოვსო. პოლიტბიუროს წევრმა შემომთავაზა, როგორც სტალინის ახლობელ ადამიანს, რამენაირად სტალინი მოსკოვიდან გასვლაზე დამეთანხმებინა.“

მისი ლაპარაკი დამაჯერებლად მეჩვენა, ბევრი აღარ მიფიქრია, შევარჩიე მომენტი, როცა სტალინთან არავინ არ იყო და მასთან შევედი. ძალზე თბილად შემხვდა, მკითხა როგორ არის საქმეო. საქმეებზე თქვენ უკეთ მოგეხსენებათ, ძვირფასო სოსო, – ვუპასუხე მე. მისი ღიმილის მიხედვით დავასკვენი, რომ არ სწყენია, პირიქით გაუხარდა კიდეც ბავშვობის და ყრმობის დროინდელი სახელით მიმართვა.

დიდხანს მისი მოცდენის უფლება არ მქონდა, ამიტომ ვისარგებლე შეხვედრის კარგი დასაწყისით და მაშინვე საქმეს შევუდექი: „რა წავიღოთ თან თქვენი ნივთებიდან, ძვირფასო სოსო“? „მაინც რა ნივთები მაქვს მე?“ – კითხვაზე კითხვით მიპასუხა სტალინმა და თითქოს გამოფხიზლდაო, სახე გაუმკაცრდა: „მაინც საით აპირებთ გამგზავრებას, კაცმა რომ თქვას?“

აქ მე, როგორც იტყვიან, დავაპირე მოსკოვიდან დროებითი ევაკუაციის საჭიროების არგუმენტები მომეხმო, მაგრამ სტალინი სახეზე წამოჭარხლდა: „მე მეგონა, შენ ნამდვილი ვაჟკაცი და კომუნისტი იყავი, შენ კი ლაჩარი და პანიკიორი ყოფილხარ, თუ თქვენ დედაქალაქის დაცვის უნარი არ გაქვთ, მე ავიღებ ხელში ავტომატს და მთელ ხალხთან ერთად დავიცავ სამშობლოს, ვერასდროს გერმანელი ფაშისტები, სამხედრო ტყვეების გარდა, მოსკოვს ვერ იხილავენ, გადი აქედან, უბადრუკო ლაჩარო“, – მითხრა გაღიზიანებულმა.

რაკი მისი ხასიათი ვიცოდი, თანაც მივხვდი ჩემი ნაბიჯის მოუზომაობას, მაშინვე გამოვედი კაბინეტიდან: ეს პირველად იყო ჩემს ცხოვრებაში, სტალინმა ასე რომ გამომლანძღა. თანაც, როგორც მეგონა, ჩემი ვითომც კეთილი განზრახვისთვის.

დიდხანს ვიფიქრე, ადგილს ვერ ვპოულობდი და როცა თანდათან დავუბრუნდი ნორმალურ მდგომარეობას, საგულდაგულოდ ავწონ-დავწონე მისი ყოველი სიტყვა და მივედი დასკვნამდე, რომ თუ სტალინი მოსკოვს არ დატოვებს და თუ ტრაგიკული მომენტის მიუხედავად ამტკიცებს, რომ გერმანელები მოსკოვს ვერ იხილავენ, ესე იგი ომი წაგებული არ არის. უფრო მეტიც, მისი სიტყვები „ჩვენ გავიმარჯვებთო“, რეალურად შესრულდება.

*დასაბეჭდად მოამზადა*

**სანდრო ალექსიძემ.**

**პეტრე შოთაძის სახელობის თბილისის სამედიცინო აკადემია აცხადებს კონკურსს შემდეგ დისციპლინებში:**

– ქირურგიული სტომატოლოგია;
– სრული პროფესორი – 1 ადგილი;
თერაპიული სტომატოლოგია;
– ასოცირებული პროფესორი – 1 ადგილი.
სამედ. რეაბილიტაცია და სპორტული მედიცინა – 3 ადგილი
მათ შორის:
– სრული პროფესორი– 1;
– ასოცირებული პროფესორი – 2;
ასევე ცხადდება კონკურსი მედიცინის ფაკულტეტის დეკანის თანამდებობის დასაკავებლად.
კონკურსში მონაწილეობის მისაღებად კანდიდატმა უნდა წარმოადგინოს:
– განცხადება რექტორის სახელზე;
– ავტობიოგრაფიული მონაცემები;
– უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დიპლომის ასლი;
– სამეცნიერო ხარისხის დამადასტურებელი დიპლომის ასლი;
– ბოლო ათი წლის განმავლობაში გამოქვეყნებული სამეცნიერო შრომების, მონოგრაფიების, სახელმძღვანელოების სია;
– 3 ფოტოსურათი ზომით 3X4 სმ.

**საბუთების მიღების ვადა 21.01.2011-დან 07-02-2011-მდე.**

**წლები**

***ალექსანდრე (საშა) ფოცხიშვილის**, ერთ-ერთი გამოჩენილი მეოცესაუკუნელი ფილოლოგის, ენათმეცნიერის და ჩინებული პოლემისტის სახელი ბოლო ნახევარი საუკუნეა, როგორც იტყვიან, პირზე აკერია ჩვენს საზოგადოებას. მთელი თავისი ხანგრძლივი ცხოვრების მანძილზე იგი ყოველთვის გამოირჩეოდა მტკიცე ხასიათით, ზნეობრივი პრინციპებითა და მრწამსის განუხრელი ერთგულებით. ის ჭეშმარიტად საზოგადოებრივი პიროვნებაა, რომლის კალამსაც არა ერთი მონოგრაფია და ფასეული სტატია ეკუთვნის, ამასთანავე, იგი ფრიად ღვაწლმოსილი პედაგოგია, წლების მანძილზე ბევრი ახალგაზრდა შეაყენა მეცნიერების დიდსა და რთულ გზაზე... მეგობრებმა ბატონ საშას მებრძოლი ხასიათისა და პრინციპულობის გამო სალაღობო ეპიგრამაც კი გამოუგონეს:*

*ალექსანდრე ფოცხიშვილი,*
*ჩვენებურად საშა როა,*
*რა საქმეშიც გაერევა,*
*ყველაფერი საშაროა...*

*შარი და დავიდარაბა ღმერთმა აშოროს და ბატონმა ალექსანდრემ ახლახან 85 „მოლუნა“ . ამ თარიღთან დაკავშირებით ზემორე მეგობრული ეპიგრამის ავტორებმა საიუბილეო კრებულიც მიუძღვნეს, რომელშიც საიუბილეო მილოცვებთან ერთად გამოქვეყნებულია თვითონ იუბილარის ბოლოდროინდელი პოლემიკური წერილებიც.*

*ქვემოთ ამ კრებულიდან გთავაზობთ ჩვენი გამოჩენილი პოეტისა და ლიტერატორის **ემზარ კვიტაიშვილის** წერილს („ღმერთმა გვიმრავლოს მისნაირები“).*

# ღირსეული მეოცესაუკუნელი

## ალექსანდრე (საშა) ფოცხიშვილი – 85

ასაკით ჩემზე უფროსებთან თავიდანვე მეადვილებოდა, მეხალისებოდა ურთიერთობა და ამიტომაცაა, დღემდე რომ შემომრჩა რამდენიმე უფროსი მეგობარი. მათ შორის მუდამ მეგულება ძვირფასი პიროვნება, საუკეთესო მეცნიერი და უღალატო ადამიანი ალექსანდრე ფოცხიშვილი, ვისი პირდაპირობა და გაუნელებელი გურული სიფიცხე, გონებამახვილობა სხვაგვარად მხიბლავს, გუნებას გამომიკეთებს ხოლმე.

იშვიათად შემხვედრია მასავით მტკიცე ხასიათის, ზნეობრივი პრინციპებისა და მრწამსის ისე ერთგულად, განუხრელად, დამცველი კაცი, როგორიც ჩვენი ბატონი საშა გახლავთ. ყველა ჩვენგანისთვის სამაგალითო უნდა იყოს ის თავგამოდება და რუდუნება, რაც მან ანტონ კათალიკოსის უსამართლოდ მივიწყებული, საშვილიშვილო ღვაწლის წარმოსაჩენად, მისი ღირსების დასაცავად გამოავლინა; ამ კეთილშობილური საქმის დაგვირგვინებას ბევრი დრო და ძალ-ღონე შეალია.

ყველა იცის – ბატონი საშა საუცხოო პოლემიკოსია და, როცა საჭირო ხდება ჭეშმარიტების დაცვა, იგი არავის ტიტულებს და თანამდებობას არ ერიდება, ვისაც გნებავთ, შეერკინება, თუმცა ისეთს არაფერს იკადრებს, საწინააღმდეგო აზრის მქონე დაამციროს, შეურაცხყოფა მიაყენოს – მოუზომავ სიტყვას ერიდება და ეს დამაჯერებლობას ჰმატებს მის ნაწერებს. თუ საკამათო, მისთვის საჩოთირო რამ წაიკითხა, არ დაგიდევს, შორეგლის დაწერილია თუ ახლობლის, მაშინვე მი-





სეზურად შეფუცხუნდება და წერილს გააშანშალებს. ერთხელ მეც გვარიანად გამკრა კბილი, აშულების პოეზიაზე დაწერილი წინასიტყვაობის გამო, მაგრამ არ შევპასუხებივარ, რადგან ვიცოდი, სათქმელს გულწრფელად, შეუფარავად ამბობდა და თანაც თავისი მოსაზრების სისწორეში დარწმუნებული იყო.

ცალკე აღსანიშნავია, რომ იგი სპეციალობის, ენათმეცნიერების, ჩარჩოში არასოდეს ყოფილა გამოკეტილი, ყოველთვის გამორჩეული ყურადღებით ეხმიანობა ჩვენი მწერლობის საჭირბოროტო საკითხებს. პოეზიის მშვენიერი მცოდნე და დამფასებელია, მასთან საუბარი ყოველთვის სიამოვნებას მანიჭებს. მიხარია, ასე რომ იცის ნამდვილი ლექსის ყადრი და ამავე დროს, ყველა ჭეშმარიტი, გემოვნებიანი ლიტერატურის მსგავსად, შეწუხებულია, გათავხედებული უნიჭობა და უსახურობა ასე რომ მოეძალა დღევანდელ ქართულ პოეზიას, ლამის წაგვლეკოს უფერულობამ, რასაც ზოგიერთები გუნდრუკსაც კი უკმევენ.

ძალაუნებურად შეცბუნდები – რა ულმობელი სისწრაფით მიქროლავს ეს დალოცვილი წუთისოფელი. თითქოს გუშინ იყო, ახლობლები მისი დაბადების ოთხმოც წლისთავს რომ აღვნიშნავდით და აგერ უკვე ოთხმოცდამეხუთე წელი მოსდგომია კარს, მაგრამ, ჩვენდა საბედნიეროდ, ამ უეცრად ჩაქროლებულმა ხუთმა წელმა ოდნავაც ვერ შეუცვალა ნირი, კვლავაც ძველი ჟინითაა ანთებული ეს გულმხურვალე მამულიშვილი და ნიადაგ იმას ცდილობს, შინაურ და გარეშე მტერთაგან დაძიძგნილ უილბლო სამშობლოს რაიმე არგოს, გაუსაძლისი ყოფა როგორმე შეუმსუბუქოს.

მხნეობას და ახალ, თვალსაჩინო გამარჯვებებს ვუსურვებ, მხარში უანგაროდ ამომდგომ, ჭირისა და ლხინის გამზიარებელ კაცურ კაცს, ფართო თვალსაწიერის სწავლულს, სიკეთისა და სიყვარულისთვის დაბადებულ ადამიანს – ალექსანდრე ფოცხიშვილს, ღმერთმა გვიმრავლოს მისნაირები!

ძველად სვანები სახელოვან, უდრეკ, გმირული სულის პიროვნებას „უბერებელ-უკვდავს“ ეძახდნენ. ეს მოხდენილი, მრავლისმეტყველი ეპითეტი ზედგამოჭრილია ჩვენს ძვირფას იუბილარზე.

**ემზარ კვიტაიშვილი**

**აღიარება**

# წლის საუკეთესო რომანი

**საქართველოს მწერალთა კავშირის, გამომცემლობა „საქართველოს მაცნეს“ და გამომცემლობა „პეგასის“ მიერ გამოყოფილი ჟიურის გადაწყვეტილებით რევაზ მიშველაძის რომანი „ჩურჩულს გადაჩვეული კაცი“ (გამომცემლობა „საქართველოს მაცნე“, 2010) მიჩნეულ იქნა წლის საუკეთესო რომანად.**

გადაწყვეტილებას, გარდა ჟიურის დასკვნისა, მხარს უმაგრებს მკითხველთა სოციოლოგიური გამოკითხვაც, რომელიც რუსთაველის პრემიის ლაურეატის რევაზ მიშველაძის რომანს ერთსულოვნად თვლის ეპოქის სოციალური ვითარების ობიექტურად ამსახველ ნაწარმოებად.

ჩვენი კორესპონდენტი შეხვდა ბატონ რევაზ მიშველაძეს და ერთადერთი კითხვა დაუსვა:

**– ბატონო რევაზ, როგორ ფიქრობთ, რამ განაპირობა თქვენი რომანის წარმატება?**

– რა მოგახსენოთ. ოთხიოდე თვის წინათ გამოსული „ჩურჩულს გადაჩვეული კაცი“ წარმოუდგენელი სისწრაფით გაიყიდა და პრესაში უკვე დაიბეჭდა მურმან თავდიშვილის, სოსო სიგუას, თენგიზ ჩხაიძისა და გიგა ლორთქიფანიძის დადებითი რეცენზიები. ვფიქრობ, მკითხველის ინტერესი იმან განაპირობა, რომ რომანი ჩვენს დღეებზე, მოვლენათა ცხელ კვალზეა დაწერილი. მკითხველს ვუამბობ საქართველოს ბოლო ოცწლეულის ცხოვრებაზე (ცხრა აპრილზე, ეროვნულ მოძრაობაზე, 1993 წლის და 2008 წლის ომებზე რუსეთის წინააღმდეგ...ძ, ნაწარმოებში არის სიყვარულის დრამატული ისტორიაც და ჩაძინებული საქართველოს გაღვიძების ავტორისეული სურვილიც (ფინალიძ, ზოგი პერსონაჟი თავისი გვარითაა წარმოდგენილი, ზოგი კი იმგვარი მინიშნებით, მკითხველს ამოცნობა რომ არ გაუჭირდება.

ვფიქრობ, წიგნი სწრაფად იმიტომ გაიყიდა, რომ მკითხველები მასში თავიანთ თავს ეძებენ.

**მედიანიუსი**

## ვინ როგორ ხედავს?



# რუსეთის ხელისუფლების წინაშე რევოლუციის საფრთხე რეალურად დგას



***რუსეთში ნაციონალისტური მოძრაობების გააქტიურების მიზეზებსა და მოვლენათა განვითარების სავარაუდო სცენარებზე „ინტერპრესნიუსი“ რუს პოლიტოლოგს ბორის სოკოლოვს ესაუბრა.***

პროფესორმა ბორის სოკოლოვმა 2008 წლის სექტემბერში რუსეთის მიერ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის აღიარებას მიუძღვნა სტატია „წაგლეჯვა სუდეტურად“. მან აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში რუსეთის მოქმედება სუდეტში ჰიტლერის მოქმედებას შეადარა. მსგავსების საილუსტრაციოდ, სოკოლოვმა ის ფაქტი მოიხმო, რომ მესამე რაიხმა გერმანელებით დასახლებულ ჩეხოსლოვაკეთის სუდეტის ოლქში ჯერ გერმანული პასპორტები დაარიგა, ხოლო შემდეგ ამ ტერიტორიის ოკუპაცია განახორციელა. სხვათა შორის, 2008 წლის სექტემბერში კრემლის ზეწოლით პროფესორი სოკოლოვი უნივერსიტეტიდან დაითხოვეს.

**— ბატონო ბორის, როგორ შეაფასებდით მოსკოვსა და რუსეთის რამდენიმე ქალაქში ნაციონალისტთა გააქტიურებას და ნაციონალურ ნიადაგზე რუსეთის საზოგადოებაში დაპირისპირების ფაქტებსა და მასშტაბებს?**

— საქმე ის არის, რომ ერთი მხრივ, რუსეთის სამართალდამცავი ორგანოების სისტემა საფუძვლიანად დალპა და კორუმპირებულია, ხოლო მეორე მხრივ, სოციალური თვალსაზრისით, ძალიან დიდი სხვაობაა ძალიან მდიდრებსა და ღარიბებს შორის. ამასთან, არსებულ სისტემაში ღარიბებს პრაქტიკულად არანაირი რეალური პერსპექტივა არა აქვთ. ყველაფერი ეს კი, ქსენოფობიაში და ჩამოსულებისადმი ზიზღში ვლინდება. ჩამოსულებმა ადგილობრივებს სამუშაო ადგილები პრაქტიკულად წაართვეს, მაგრამ პრობლემა იმაშიცაა, რომ ადგილობრივ ღარიბებს მუშაობა მაინცადამაინც არც სურთ.

მომხდარში გარკვეული როლი შეასრულა ჩრდილოეთ კავკასიიდან გამოსულთა პროვოკაციულმა ქმედებებმაც, რომლებიც საკმაოდ შეკავშირებულ სათვისტომოებს წარმოადგენენ. ბევრი მათგანი შეიარაღებული დადის და სხვათა შორის, ძალიან ხშირად, პირველები ესხმიან თავს ადგილობრივებს. ყველა ამ ფაქტორთა კომპლექსმა მიგვიყვანა იქამდე, რაც ახლა მოსკოვსა და რუსეთის რამდენიმე ქალაქში ხდება.

**— თქვენი აზრით, რამდენად იზიარებს რუსული საზოგადოება ლოზუნგს — „რუსეთი რუსებისათვის“? ლევადა-ცენტრის გამოკითხვების თანახმად, გამოკითხულთა მხოლოდ 21 პროცენტი მიიჩნევს, რომ ამგვარი ლოზუნგი ფაშისტურია. გამოკითხულთა 19 პროცენტი ამ ლოზუნგის რეალიზებას დაუყოვნებლივ მოითხოვს, კიდევ 35 პროცენტი თვლის, რომ ლოზუნგი განსახორციელებელია, მაგრამ ზომიერების ფარგლებში. გამოდის, რომ ამ ლოზუნგს მხარს რეალურად 54 პროცენტი უჭერს...**

— საზოგადოების რეალური მდგომარეობა ქსენოფობიაა, მაგრამ მისი ქსენოფობიურობა სოციალური მოუწესრიგებლობითაა განპირობებული. რუსეთის მოსახლეობის 50 პროცენტზე მეტი შეიძლება ღარიბად ჩაითვალოს. ასეთ პროცესებზე საუბრისას, ჩვენ რეალური, და არა ოფიციალური სტატისტიკით უნდა ვიხელმძღვანელოთ.

**— რჩება შთაბეჭდილება, რომ საარჩევნო კამპანიაში ჩართულმა ტანდემში მთავარმა, პუტინმა, ქუჩის განწყობით უკვე ისარგებლა და დემოკრატ-ლიბერალები კუთხეში არიან მომწყვდეულნი...**

— ხელისუფლებამ ჯერ ვერაფრით ვერ ისარგებლა. ქუჩის აქციებით რუსეთის ხელისუფლება დაბნეული და შეშინებულია. ყველაფერი სპონტანურად და ხელისუფლების ყოველგვარი მონაწილეობის გარეშე მოხდა. სრულად ვიზიარებ მოსაზრებას, რომ რუსეთის დემოკრატ-ლიბერალები კუთხეში არიან მომწყვდეულნი. დემონსტრაციებმა ლიბერალური ოპოზიციის მარგინალური ხასიათი გამოამჟღავნა. როცა ამას ვამბობ, მხედველობაში მაქვს ის გარემოება, რომ მათ ნაციონალისტების მსგავსად ვერ შეძლეს ქუჩაში იმ რაოდენობის ხალხის გამოყვანა, რამდენიც ნაციონალისტებმა გამოიყვანეს.

ხელისუფლება დამნაშავეს ეძებს და ცდილობს მომხდარში ლიბერალური ოპოზიცია დაადანაშაულოს. თუმცა, ყველასათვის ნათელია, რომ რუსეთის ლებერალურ-დემოკრატიული ოპოზიცია მომხდართან არანაირ კავშირში არაა.

**— თქვენი აზრით, რას შეიძლება ნიშნავდეს კრემლთან დაახლოებული ლიბერალის, პოლიტოლოგ რაძიხოვსკის განცხადება — „ვინ უფრო ცუდია — პუტინი თუ დამრბევები“? ექსპერტთა უმრავლესობის შეფასებით, საკითხის ასე დასმით რაძიხოვსკიმ არჩევანი აშკარად პუტინის სასარგებლოდ გააკეთა და პრაქტიკულად იგივეს გაკეთებისკენ სხვა ლიბერალებსაც მოუწოდა...**

— მხოლოდ პირობითად შეიძლება ითქვას, რომ რაძიხოვსკი ლიბერალია. შესაძლოა, რაძიხოვსკის ლიბერალური შეხედულებები აწუხებდეს, მაგრამ ყველამ იცის, რომ მას ხელისუფლება „აჭმევს“, იგი მასთან დაახლოებულია და ხშირ შემთხვევაში ხელისუფლებას ახმოვანებს.

ის, რასაც რაძიხოვსკი ამბობს, რუს ლიბერალებში არსებული დიდი ხნის მცდარი აზრია. ისინივარაუდობენ, რომ ხელისუფლება შეძლებს მათი ხალხისაგან დაცვას. ჩემი აზრით, ხელისუფლება მათ ხალხისაგან არანაირად არ დაიცავს. იმ შემთხვევაშიც კი, თუ ყველა ლიბერალი მხარს პუტინს დაუჭერს, რაც მას ისედაც არ სჭირდება, ეს იმ პროცესებზე, რაც ქუჩაში და მანეჟის მოედანზე განვითარდა, არანაირად არ იმოქმედებს.

**— თქვენი პროგნოზით, სავარაუდოდ როგორ განვითარდება პროცესები რუსეთში?**

— ძნელია იმის თქმა, თუ როგორ განვითარდება პროცესები, მაგრამ შემიძლია ვთქვა, რომ საზოგადოებაში დაპირისპირება რუსული ცხოვრების ყოველდღიურობის ფაქტორად იქცევა, რისთვისაც ანგარიშის გაწევა მოუწევს როგორც ხელისუფლებას, ისე საზოგადოებას.

**— თუ რუსეთის პოლიტიკური ცხოვრება არსებულ რეჟიმში გაგრძელდა, 2012 წლის საპრეზიდენტო არჩევნებისთვის პუტინი პრეზიდენტობის უალტერნატივო კანდიდატი იქნება...**

— 2012 წლის საპრეზიდენტო არჩევნებზე პუტინი აბსოლუტურად უალტერნატივო იქნება. მაგრამ პრობლემა ის არის, რომ მას ახლაც აქვს აბსოლუტური ძალაუფლება, მაგრამ ნაციონალურ ნიადაგზე წარმოქმნილ პრობლემებს ვერაფერს ვერ უხერხებს. მნიშვნელობა არა აქვს იმას, 2012 წლის შემდეგ პუტინი პრეზიდენტი იქნება თუ ისევ პრემიერ-მინისტრი. როგორადაც არ უნდა იყოს, ფაქტია, რომ ეს დაწყებულ პროცესებზე არანაირად არ იმოქმედებს.

სიტუაციას შეცვლიდა ქვეყნისა და საზოგადოების სასწრაფო დემოკრატიზაცია, სათათბიროს დათხოვნა, ახალი კანონის საფუძველზე ქვეყანაში მეტნაკლებად დემოკრატიული არჩევნების ჩატარება, მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ მედვედევ-პუტინის ტანდემი ამაზე არანაირად არ წავა და ქვეყნის კრიზისიდან გამოყვანის ამგვარი გეგმა მხოლოდ ოცნებად დარჩება.

**— ბევრი მიიჩნევს, რომ პუტინს ქვეყანაში დემოკრატიული რეფორმების გატარება არ სურდა და ნაციონალისტების გააქტიურება სწორედ პუტინს აწყობდა და გამოიყენებს.**

**ექსპერტთა ნაწილი ქუჩაში გამოსულ ახალგაზრდა ნაციონალისტებს პრეზიდენტ მედვედევის ადმინისტრაციის უფროსის მოადგილე, სურკოვთან კავშირის გამო „სურკოვიატსასაც“ კი ეძეხის. თუ ასეა, გამოდის რომ ნაციონალიზმის აფეთქება მაინც კრემლიდან იმართებოდა...**

— ნაციონალისტების კრემლთან კავშირი შესაძლოა იმ დონეზე იყოს, რომ ახალგაზრდა აქტივისტთა ნაწილი „ედინაია როსიასა“ და ხელისუფლების მხარდამჭერი ახალგაზრდული ორგანიზაციების წევრები იყვნენ. მაგრამ, ეს ამ შემთხვევაში იმას კი არ მიანიშნებს, რომ კრემლი ახდენს ნაციონალისტებზე გავლენას, არამედ პირიქით, ხელისუფლების მხარდამჭერ ორგანიზაციებზე გავლენას ნაციონალისტები ახდენენ.

რამდენადაც უფრო ძლიერი იქნება ქუჩის მღელვარებები, ხელისუფლება სულ უფრო მეტად შეშინდება და შეეცდება ნაციონალისტებთან თანამშრომლობას, მაგრამ, ვეჭვობ, რომ ეს უკვე გვიანი იქნება.

რუსეთის ხელისუფლების წინაშე რევოლუციის საფრთხე რეალურად დგას. რევოლუცია კი არაპროგნოზირებადი და ირაციონალური რამაა. თუ რუსეთში რევოლუცია მაინც დაიწყო, იგი კბილების ცხოველური ღრჭენით განხორციელდება.

**კობა ბენდელიანი**




# ახალი შეთანხმებები საქართველოსთან — მწვანე სინათლე ვიზებზე და ხელშეკრულება რეადმისიის შესახებ

**მას შემდეგ, რაც სამშაბათს ევროპის პარლამენტმა დაამტკიცა ახალი ხელშეკრულება საქართველოსთან, საქართველოს მოქალაქეებს ევროკავშირში მოგზაურობა უფრო ადვილად შეეძლებათ. პარლამენტარებმა ასევე დაუჭირეს მხარი შეთანხმებას თბილისთან არაკანონიერი ემიგრანტების რეადმისიის შესახებ.**

საქართველოსთან დადებული შეთანხმების თანახმად საქართველოს იმ მოქალაქეებისთვის, ვისაც ევროკავშირში სამოგზაუროდ მოკლევადიანი ვიზა სჭირდება (მაგალითად 90 დღით 180-დღიანი პერიოდისთვისძ დოკუმენტების გაცემა გამარტივდება. გადაწყვეტილება იმის შესახებ, მიეცემა თუ არა ვიზა მსურველს, მიღებულ უნდა იქნას განცხადების შეტანიდან 10 დღის განმავლობაში. გადასახადი ევრო 35 იქნება.

გარკვეული კატეგორიის ადამიანებს, მაგალითად სტუდენტებს, პენსიონერებს, ჟურნალისტებს, 12 წლამდე ბავშვებს, შეზღუდული უნარების მქონე პირებს, მათ, ვისი ნათესავებიც ევროკავშირის წევრ ქვეყნებში კანონიერად ცხოვრობენ და სამოქალაქო საზოგადოების ლიდერებს ვიზა უფასოდ მიეცემა. გარკვეულ ჯგუფებს, მაგალითად ბიზნესმენებს, სტუდენტებს, ან ჟურნალისტებს ვიზის მისაღებად აუცილებელი დოკუმენტაცია გაუმარტივდებათ.

პარლამენტმა ასევე დაამტკიცა შეთანხმება, არაკანონიერი ემიგრანტების რეადმისიის შესახებ. საქართველომ და ევროკავშირმა უნდა დაიბრუნონ მათი ის მოქალაქეები, რომლებიც მათ ტერიტორიებზე უკანონოდ იმყოფებიან. მესამე ქვეყნების ან მოქალაქეობის არმქონე პირებიც დაბრუნებულნი უნდა იქნან, თუ დამტკიცდა, რომ ამ პირს რომელიმე ხელმომწერი ქვეყნის ვიზა ჰქონდა ან იქ ცხოვრობდა ან ეს ქვეყანა გამოიყენა ტრანზიტისათვის.

პარლამენტარებმა ნატალი გრისბექის ორი ანგარიშის საფუძვლეზე, ღია კენჭისყრით მხარი დაუჭირეს ორივე შეთანხმებას.

ორშაბათს საღამოს გამართულ დებატებში, გრისბექმა განაცხადა: „ეს შეთანხმება საინტერესოა რეგიონალურ კონტექსტში, რადგან ის მხარს უჭერს ევროკავშირის ძალისხმევას, განამტკიცოს თანამშრომლობა სამხრეთ კავკასიის რეგიონის სხვა ქვეყნებთან“. მისი თქმით, შეთანხმებები „წაახალისებენ საქართველოს აუცილებელი რეფორმების განხორციელებისკენ (...ძ თავისუფლების, უსაფრთხოების, სასამართლო სისტემის მიმართულებით და არალეგალური ემიგრაციის წინააღმდეგ საბრძოლველად“.

ახლა აუცილებელია, რომ შეთანხმება ფორმალურად დაამტკიცოს საბჭომ. ორივე შეთანხმება ძალაში შევა მაშინ, როდესაც ორივე მხარე ერთმანეთს რატიფიკაციის პროცესის დასრულების შესახებ შეატყობინებს.

EUROPEAN PARLIAMENT

## დედამიწის ზურგზე



**სროლები ორი კორეის საზღვარზე: სამხრეთმა დაიწყო საარტილერიო სწავლება, ჩრდილოეთი აპირებს საპასუხო დარტყმას**

**საარტილერიო კანონადა ისმის სამხრეთ კორეის კუნძულ ენპხიონდოსთან. სწორედ მისი მისამართით ისროდნენ ნოემბრის ბოლოს არტილერიით კორეის სახალხო- დემოკრატიული რესპუბლიკიდან სამხრეთის წინა სწავლების პასუხად. ამჯერად სეული უფრო გადაწყვეტით არის განწყობილი, ფხენიანი კი ძველებურად იმუქრება საპასუხო დარტყმით. გაეროს უშიშროების საბჭომ ვერ შეძლო დაძაბულობის ესკალაციის შეჩერება.**

* * *

**გაეროს უშიშროების საბჭომ ვერ შეძლო მოეწონებინა განცხადება კორეის ნახევარკუნძულზე სიტუაციასთან დაკავშირებით**



**დახურული სხდომა გრძელდებოდა 8 საათზე მეტი ხნის განმავლობაში მცირე შესვენებებით. მოიწვიეს წარმომადგენლები კორეის რესპუბლიკიდან და კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკიდან. მუშაობა განცხადების პროექტზე გაგრძელდება, ხაზგასმით აღნიშნა რუსეთის ფედერაციის მუდმივმა წარმომადგენელმა. მაგრამ ამერიკის შეერთებული შტატები ვარაუდობს, რომ საბჭოს წევრთა შორის აზრთა სხვადასხვაობის დაძლევა ძნელად რომ მოხდეს უახლოეს პერიოდში.**

* * *

**ბელგია პარალიზებულია დიდთოვლობის გამო, დაიღუპა 1 კაცი**



**ლუქსემბურგის პროვინციაში ჩამონგრეულმა სახურავმა ქვეშ მოიყოლა სარდაფში მყოფი კაცი, სადაც იგი ამ დროს მუშაობდა. „აეროფლოტის“ საღამოს რეისი მოსკოვიდან ორი საათის დაგვიანებით ჩამოვიდა. მოსკოვიდან გაფრენის დრო ჯერჯერობით უცნობია. აეროპორტში დაბლოკილია მთლიანად 1,5 ათასი მგზავრი.**

* * *

**„ფორბსმა“ დაასახელა 15 წიგნი, რომლებიც გამდიდრებაში დაგვეხმარებიან**

**ჟურნალის აზრით, ეს წიგნები მოუტანენ შემოსავალს არა მხოლოდ მათ ავტორებს, არამედ მკითხველებსაც, ვინაიდან მათში მოცემულია კაპიტალის მართვის სრულყოფილი ანალიზი (ინფორმაციაში ეს წიგნები კერძოდ დასახელებული არ არის).**



## საკადემიო პრემიების ლაურეატები – 2010

***მონოგრაფიისათვის „კეპლერ-კულონის პრობლემის დინამიკური სიმეტრია კლასიკურ და კვანტურ მექანიკაში (არარელატივისტური და რელატივისტური) ილია ვეკუას სახელობის პრემია მიენიჭა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტს ანზორ ხელაშვილს.***

***ჩვენს გამოჩენილ ფიზიკოს-თეორეტიკოსს ეს საპატიო ჯილდო მაღალი ენერგიების ფიზიკის ინსტიტუტში მივულოცე.***

# 3 იანვარი - იმისი ბედობის დღე...

**— ბატონო ანზორ, როცა ილია ვეკუას სახელობის პრემიის მინიჭებას ეხება საქმე, კონკურენტებად მათემატიკოსებიც გეყოლებოდათ...**

— დიახ, ასეც იყო და გეტყვით, რომ კონკურენცია ძალიან მაღალი გამოვიდა. საუკეთესო ნაშრომები წარმოადგინეს მათემატიკოსებმა გიორგაძემ და ხარიბეგაშვილმა, რომლებიც ასევე იმსახურებენ ასეთი წარჩინების ნიშანს, მაგრამ ამჯერად გამიმართლა მე.

**— გაგვიზიარეთ თქვენი დამოკიდებულება ილია ვეკუას დიდებულ სახელთან...**

— ის მეცნიერების ისტორიაში ერთ-ერთი დიდი მათემატიკოსი და მექანიკოსია, რომლის გამოკვლევები ფიზიკოსთა შორისაც ფართოდაა ცნობილი. პირადად არ მქონია ბატონ ილიასთან ურთიერთობის ბედნიერება, სამაგიეროდ ჩემი მეცნიერული მუშაობისათვის მომიხდა იმისი მონოგრაფიების შესწავლა. განსაკუთრებით ძლიერი შთაბეჭდილება დამიტოვა „განზოგადებულმა ანალიზურმა ფუნქციებმა". ამ წიგნით ვსარგებლობდი გაფანტვის ამპლიტუდების ანალიზური თვისებების კვლევისას, გამორჩეულად – სამი ნაწილაკის პრობლემაში. ასევე ერთობ საგულისყურო გამოდგა ჩემთვის ილია ვეკუას უკანასკნელი წიგნი „ცენზორული ანალიზი". მსმენია, თუ როგორ ჩქარობდა მძიმე ავადმყოფი ბატონი ილია ნაშრომის ბოლომდე მიყვანას და სწორედ დასკვნითი ნაწილის წერისას გაუვარდა ხელიდან კალამი. ეს წიგნი დაწერილია განსაცვიფრებელი პედაგოგიური ალღოთი და კიდევ დიდხანს გაუწევს ფიზიკოსებს ფასდაუდებელ სამსახურს

ამჟამად სპეციალისტთა სულ უფრო მეტ ყურადღებას იპყრობს ილია ვეკუას ფუნდამენტური გამოკვლევები გარსთა თეორიაში.

ჩემთვის უდიდესი პატივია ასეთი ბრწყინვალე პიროვნების სახელობითი პრემიის მოპოვება.

**— თქვენი პრემირებული მონოგრაფიის სათაური ფრიად სპეციფიკურია**



**და ეგებ შინაარსის მოკლე გადმოცემა მოხერხდეს, შედარებით გასაგებად...**

— ფიზიკოსები ფიქრობენ, რომ ბუნება გაცილებით მარტივია, ვიდრე გამოიყურება. ეგ იმიტომ, რომ გარკვეული სიმეტრიების პრინციპებითაა მოწყობილი. რეალურ სამყაროში სიმეტრიათა აბსოლუტური უმრავლესობა დარღვეულია, რის გამოც ბუნების სიმეტრიები ჩვენგან დაფარულია. ფიზიკის ერთ-ერთი ამოცანაა, რომ დარღვეული სურათის უკან დაინახოს, თუ რა სიმეტრიებია დარღვეული.

საერთოდ, სიმეტრიები განსაზღვრავენ მოძრაობის ყველა კანონზომიერებას, შენახვის (მუდმივობის) კანონებსა და იმათთან დაკავშირებულ შერჩევის წესებს. ფიზიკა ორი ტიპის სიმეტრიებს განასხვავებს: გეომეტრიულს, დაკავშირებულს ინვარიანტულობასთან და კოორდინატთა გარდაქმნის მიმართ და დინამიკურს, რომლებიც არ უკავშირდებიან კოორდინატების გარდაქმნას და ადგილი აქვთ მხოლოდ გარკვეული პოტენციალებისათვის, ანუ დინამიკისათვის.

ჩვენი მონოგრაფია მიძღვნილია სწორედ დინამიკური სიმეტრიებისადმი კლასიკურ და კვანტურ მექანიკაში. უნდა აღინიშნოს, რომ ასეთ თემაზე ეს პირველია, რომელიც თავს უყრის ალბათ ბოლო 2 საუკუნის განმავლობაში მიღებულ კლასიკურ შედეგებს. გარდა ამისა, ჩვენ შევძელით ეგრეთ წოდებული კულონური პოტენციალის ახალი წყაროს – სუპერსიმეტრიის მიგნება...

**— ბატონო ანზორ, 2010-ის მიწურულია. რას გვეტყვით განვლილ და მომავალ წლებზე...**

— 2010 ჩემთვის ძალიან ნაყოფიერი გახლდათ. დაიწყო იმით, რომ 3 იანვარს მივხვდი ყველაფერს ერთ პრობლემაში და დავიწყე შესწავლა. კვანტურ მექანიკაში შრედინგერის რადიალური განტოლების სამართლიანობის საკითხი შეუმჩნეველი დარჩენიათ ამ დარგის არსებობის თითქმის 80 წლის მანძილზე... შესაბამისი გამოკვლევა იბეჭდება პრესტიჟულ „ფიზიკის ამერიკულ ჟურნალში".

ეგ 3 იანვარი კარგად მაქვს დაცდილი: 1958 წლის ამ დღეს, ზოგად ფიზიკაში გამოცდაზე მათე მირიანაშვილთან „ფრიადი" მივიღე დარიგებასთან ერთად – უნდა გაამართლოთო. 6 წლის შემდეგ, ისევ 3 იანვარს, დუბნაში ალეკო თავხელიძეს მოვუყევი ერთი საინტერესო განტოლების შესახებ, რომელსაც დუბნელთა ენა-პირით მერე „ხელაშვილის განტოლება" ეწოდა... ტვინში გარკვეული ამოცანები მიტრიალებს, თანდათან დალაგდება და მოუთმენლად ველი მორიგ, იანვრის 3-ს, რომ ჩავუჯდე...

**— ხსენებაზე, თქვენ წიგნიც მოამზადეთ ალეკოს 80 წლისთავისათვის, „ალბერტ თავხელიძე"... ახალ წარმატებებსა და ბედნიერ ახალ დამდეგს გისურვებთ, ანზორ-ბატონო...**

**თამაზ ებანოიძე**

## ვაიმე, ენავ!

*რუბრიკას უძღვება მურმან თავდიშვილი*

# სკოლის ენობრივი გასაჭირი

— სად უნდა ისმოდეს კარგი ქართული მეტყველება?

— სკოლაში.

— მერედა ისმის?

— არა!

ეგ დიალოგი სარკესავით მართალია.

სამწუხაროდ, სწორედ იქ, სადაც თავს ამდენი განათლებული ადამიანი, საგანგებოდ მომზადებული სპეციალისტი იყრის თავს, ისმის სავალალო ქართული. მაგალითად, მე არ მახსოვს სკოლა, სადაც ოდესმე შემევლოს და ასეთი რამ არ მომესმინოს: „ქართულის პედაგოგი", „ფიზიკის პედაგოგი", „მათემატიკის პედაგოგი"...

სინამდვილეში ეს გამოთქმები მცდარია.

საქმე ისა, რომ „პედაგოგი" უცხოური სიტყვაა და ნიშნავს **ბავშვის აღმზრდელს** (ბავშვის წინამძღოლს, მეგზურს, გამყოლს, თანმხლებს, წამყვანს). ამიტომაც, შესიტყვება „მათემატიკის პედაგოგი" რომ ვთარგმნოთ, ასეთი აბსურდი გამოგვივა: „მათემატიკის ბავშვის აღმზრდელი".

ასე რომ, ზოგადი ტერმინი „პედაგოგი" არაფრით „ერითმება" სპეციალობის აღმნიშვნელ სახელს (მათემატიკა, ქართული, ფიზიკა...).

მაშ, უნდა ვთქვათ:

„პეტრე მჭედლიშვილი მათემატიკის სპეციალისტია" ან „მათემატიკის მასწავლებელია".

რაც შეეხება ზოგად ტერმინ „პედაგოგს", იგი სპეციალობას უნდა მოვაშოროთ და ისე მოვიმარჯვოთ. მაშ, სწორია:

„პეტრე მჭედლიშვილი კარგი პედაგოგია".

სწორედ სკოლაში უნდა ჩავუყაროთ მკვიდრი საფუძველი გამართულ, ულნიოშო მეტყველებას.

ამ ბოლო დროს ფართოდ გავრცელდა ასეთი შესიტყვება – **ქართული საზოგადოება.**

იგი ისმის სატელევიზიო გამოსვლებში (უფრო მეტად), სკოლებში (უფრო ნაკლებად), ჟურნალ-გაზეთებში (საკმაოდ ხშირად).

არადა თავის დროზე „ზეპურმა" ენათმეცნიერებმა, თითქოსდა, ჯეროვნად დაგვმოძღვრეს.

**ქართული** შეიძლება იყოს არაადამიანი, უფრო მეტად – უსულო საგნები: ქართული პური, ქართული ღვინო, ქართული ცნობიერება, ქართული ვაზი, ქართული ფეხბურთი, თუნდაც ქართული ცხვარი. სამუქფოდ, **ქართველი** შეიძლება იყოს ადამიანი, ერი, ხალხი და, ბოლოს, საზოგადოებაც.

მაშ, ასე:

ქართველი ერი, ქართველი ხალხი, ქართველი ადამიანი, ქართველი საზოგადოება.

ხშირად გამოსაყენებელი სიტყვაა **რამდენიმე,** ოღონდ მას, ჩვეულებრივ, ასე წარმოთქვამენ – **რამოდენიმე.**

ამ მხრივ განსაკუთრებით სცოდავენ ტელევიზიები. მართალია, მოწვეულ სტუმარს პირში ვერ ჩაუფრინდები და სიტყვა-ფრაზას ვერ გაუსწორებ, ოღონდ დიქტორმა ხომ უნდა იცოდეს ეს, ის ხომ ჟურნალისტობაზე დებს თავს?

ასევე ხშირად წამოისვრიან სიტყვას **აბსოლიტური.**

ჯერ ერთი, ეს უცხოური სიტყვა ასე გამოითქმის – **აბსოლუტური;** მეორეც, თუ უცხოური სიტყვის მართებულად წარმოთქმა-გამოთქმა გიჭირს, მაშინ შეეშვი მას და რაღაც სხვა გამოთქმა გამოიყენე!

ამჯერად ეს შენიშვნები ვიკმაროთ. სხვა მერე იყოს.

## ცნობარი

# სად გინდათ, რომ დარეკოთ?

1. ავიაბილეთები ყველა მიმართულებით 36-40-11; 36-50-11; 422-422; 91-37-51; 91-37-52.
2. აეროპორტში დახვედრა-გაცილება 18-22-44; 899 33-33-53.
3. ავტოსადგური „ოკრიბა" 34-26-92.
4. ადამიანის უფლებათა დაცვის ცენტრი 37-69-50; 45-45-33.
5. ავტომანქანების გაქირავება 895-33-21-00.
6. ამინდის ბიურო 43-95-31; 45-95-32.
7. აეროპორტის საინფორმაციო ბიურო 31-04-21.
8. ბავშვთა უფლებების დაცვის საქალაქო ცენტრი 99-66-04.
9. გაზი გამოძახებით 008; 92-32-46; 92-10-08.
10. შპს „აკადემიკოს გ. ჩაფიძის სახელობის გადაუდებელი კარდიოლოგიის ცენტრი" 53-06-32.
11. საქ. მთავარი პროკურატურის ცხელი ხაზი 40-52-22.
12. გაზის საავარიო (ქალაქისა) 04; 38-40-65, 37-78-91 (საავარიო);
38-56-16 (ცენტ. სადისპეტჩერო).
13. ჯანდაცვის სამინისტრო 94-34-98 (ცხელი ხაზი); 94-49-11.
14. შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის ცხელი ხაზი 20-62-32.
15. დამკრძალავი ბიურო, მუნიციპალური საწარმო „ჰერმესი" 21-21-84; 21-21-94.
16. კავკაზუს ონლაინი, დეპეშის გაგზავნა ინტერნეტით 50-60-06.
17. ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური 99-10-58.
18. „თელასის" საინფორმაციო ცენტრი 25-52; 25-52-11.
19. „თელასის" ცხელი ხაზი 77-99-99; 27-44-11.
20. შპს „იმუნიზაციის ცენტრი" 31-22-78.
21. იუსტიციის სამინისტრო 40-52-02.
22. კატასტროფის მედიცინის ცენტრი. პაციენტების ტრანსპორტირება რეფერალური პროგრამით მხოლოდ სტაციონარებიდან 53-11-73; 877 45-20-01.
23. საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია 38-61-40 (პრესსამსახური); 31-13-13 (ადმინ. დეპარტამენტი).
24. კონტროლის პალატა 43-81-81 (ცხელი ხაზი); 43-81-78 (კანცელარია).

## ყველა ზარი ხელსაწყაცად

25. კანალიზაციის საავარიო სამსახურის ცხელი ხაზი 93-11-11.
26. ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრო 43-11-00.
27. მერიის ცხელი ხაზი 72-22-22.
28. მერიის ცხელი ხაზი – ცხოველებისგან დაზარალებულთა დახმარება 54-04-43.
29. მერიის სამოქალაქო მონაწილეობის და ინტეგრაციის საქალაქო სამსახური 37-81-44; 37-81-53.
30. ნავთლუღის ავტოსადგური 74-83-03; 74-63-23.
31. სახალხო დამცველი 99-58-98; 92-24-79; 92-31-66.
32. რკინიგზის სადგური 56-35-66; 56-47-60.
33. სახანძრო-სამაშველო ოპერატიული სამსახური 01, 011, 75-20-85; 41-17-71; 41-17-72.
34. საპატრულო პოლიცია 022.
35. „სასწრაფო სამედიცინო დახმარება 033"; 03; 54-70-04; 54-70-03.
36. სასწრაფო სტომატოლოგიური მომსახურება ბინაზე გამოძახებით 24 საათის განმავლობაში 478-478; 871 478-478.
37. საქართველოს მთავრობის კანცელარია 92-26-87 (მისაღები).
38. საგარეო საქმეთა სამინისტროს პრესისა და ინფორმაციის დეპარტამენტი 28-47-47; 28-48-22; 28-48-93; 28-48-96 (ცხელი ხაზი).
39. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების ცენტრი 077.
40. სადღეღამისო სტომატოლოგიური კლინიკა, 22-67-22; 10-30-50; 899 57-64-12.
41. სოფლის მეურნეობის სამინისტროს გენინსპექციის ცხელი ხაზი 37-80-50.
42. საქართველოს სტანდარტების ტექნიკური რეგლამენტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტო 61-30-90; 61-30-21.
43. საყოფაცხოვრებო და სამშენებლო ნარჩენების გატანა 45-20-23.
44. სამედიცინო-საინფორმაციო სამსახური 25-22-72 (ადმინისტრაცია); 25-22-45 (ადგილზე მომსახურების განყოფილება, მედიკამენტების სახლში მიტანა).
45. სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიის, მცენარეთა დაცვის ეროვნული სამსახური, რეგისტრაციების და ნებართვების სამმართველო 53-09-67.
46. ტაქსი გამოძახებით 93-91-00.
47. ტრეფიკინგის მსხვერპლთა და უცხოეთში წამსვლელთა ფსიქოლოგიური და იურიდიული დახმარება 100-229.
48. შინაგან საქმეთა სამინისტროს ცხელი ხაზი 51-70-34; 41-10-68 (კანცელარია, მოქალაქეთა და წერილების განყოფილება).
49. ფინანსთა სამინისტრო 26-14-12; 26-14-10 (კანცელარია); 26-24-09.
50. ფინანსთა სამინისტროს სატელეფონო ცენტრი, საგადასახადო კონსულტაციები 007.
51. ქორწინების რეგისტრაცია სილნაღში 895 24-77-77.
52. ღვთისშვილთა კავშირის ცხელი ხაზი (შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის) 25-01-45; 22-54-17.
53. „ყაზტრანსგაზი" 20-04-04 (გაზიფიცირების სამსახური).
54. „ყაზტრანსგაზის" საინფორმაციო 31-04-04.
55. „ყოფილი პოლიტპატიმრები – ადამიანის უფლებებისთვის" 93-14-28; 877 71-17-20.
56. შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციის ცხელი ხაზი 98-39-43; 99-53-50.
57. შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის მთავარი სამმართველოს სამორიგეო 41-40-63; 41-42-63.
58. შინაგან საქმეთა სამინისტროს მორიგე 74-62-67.
59. სააქციო საზოგადოება „ცენტრალური ავტოვაგზალი" 75-34-33.
60. ნარკოლოგიის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტი, ნარკოლოგიურ-ამბულატორიული დაწესებულება 39-95-08 (რეგისტრატურა).
62. წყალკანალის ექსპლუატაციის სამსახური 48-72-88 (უფროსი მორიგე).
63. წყალკანალის ცხელი ხაზი 93-11-11.

ფეხბურთი

# აქეთურ-იქითური



**ერთთვიანი პაუზის შემდეგ კახი კაჭარავა თბილისის „დინამოს" მთავარი მწვრთნელის პოსტს დაუბრუნდა.**

შეგახსენებთ, რომ მან ტაიმ-აუტი ეროვნული ჩემპიონატის რამდენიმე მატჩის ფრედ დასრულების შემდეგ აიღო, რაც ქვეყნის ყველაზე ტიტულოვან კლუბს ლიდერობის დაკარგვად დაუჯდა, ხოლო იმ პერიოდში, როცა ბიჭებს შეხვედრებისთვის თავკაცის თანაშემწე თამაზ სამხარაძე ამზადებდა, „თეთრ-ლურჯები" დავით ყიფიანის სახელობის ეროვნული თასის გათამაშებას გამოეთიშნენ მეორელიგელ „გაგრასთან".

* * *

**მილანის „ინტერმა" წარმატებით დაიცვა ევროპული ფეხბურთის ღირსება.**

აბუ-დაბიში დასრულებული მსოფლიოს საკლუბო ჩემპიონატის ფინალში იტალიურმა გრანდმა 3:0 დაჯაბნა აფრიკული კონგოს დემოკრატიული რესპუბლიკის „მაზემბე" (პანდევი, ეტოო, ბიაბიანი).

ამ გამარჯვებით თანამდებობა შეინარჩუნა აპენინელთა ესპანელმა მთავარმა მწვრთნელმა რაფაელ ბენიტესმა, რომელსაც პოზიციები „სერია-ა"-ში უხეირო თამაშის გამო შეერყა.

მესამე ადგილისთვის გამართული მატჩი ბრაზილიის ქალაქ პორტუ-ალეგრის „ინტერნასიონალმა" კორეულ „სეონგნამს" მოუგო – 4:2.



* * *

**იტალია. XVII ტური.** „მილანი" – „რომა" 0:1, „ნაპოლი" – „ლეჩე" 1:0, „კიევო" – „იუვენტუსი" 1:1, „ლაციო" – „უდინეზე" 3:2.

**ლიდერთა ჯგუფი:** „მილანი" – 36, „ლაციო", „ნაპოლი" – 33-33, „იუვენტუსი" – 31, „რომა" – 29 ქულა.

**ესპანეთი. XV ტური.** „ესპანიოლი" – „ბარსელონა" 1:5, „რეალი" – „სევილია" 1:0, „ვილიარეალი" – „მალიორკა" 3:1, „სოსიედადი" – „ვალენსია" 1:2, „მალაგა" – „ატლეტიკო" 0:3.



**ლიდერთა ჯგუფი:** „ბარსელონა" – 43, „რეალი" – 41, „ვილიარეალი" – 33, „ვალენსია", „ესპანიოლი" – 28-28 ქულა.

**გერმანია. XVII ტური.** „აინტრახტი" – „ბორუსია" 1:0, „ზანკტ-პაული" – „მაინცი 2:4, „ლევერკუზენი" – „ფრაიბურგი" 2:2, „ნიურნბერგი" – „ჰანოვერი" 3:1, „შტუტგარტი" – „ბაიერნი" 3:5.

**ლიდერთა ჯგუფი:** „ბორუსია" – 43, „მაინცი", „ლევერკუზენი" – 33-33, „ჰანოვერი" – 31, „ბაიერნი" – 29 ქულა.

ჭადრაკი

# ამჯერად – უმედლოდ

**ვარშავაში გამართული ევროპის ჩემპიონატი ბლიცსა და სწრაფ ჭადრაკში ქართველმა დიდოსტატებმა კვარცხლბეკზე აუსვლელად დაამთავრეს.**

ბლიცში მიხეილ მჭედლიშვილმა 18 ქულით მეათე ადგილი დაიკავა, ხოლო ბაადურ ჯობავა 15,5 ქულით 58-ე იყო.

რაც შეეხება სწრაფ ჭადრაკს (პარტიისთვის 15-15 წუთი ყოველ სვლაზე 10 წამის დამატებით), ჩვენმა თანამემამულეებმა 13 შესაძლებლიდან 10-10 ქულით მეშვიდე-მეთოთხმეტე პოზიციები გაინაწილეს.

გაგაცნობთ ჩემპიონთა და პრიზიორთა ვინაობას.

**ბლიცი.** მაქსიმ ვაშიე – ლაგრავი (საფრანგეთი), ვასილი ივანჩუკი, რუსლან პონომარიოვი (ორივე – უკრაინა).

**სწრაფი ჭადრაკი.** ზოლტან ალმაში (უნგრეთი), ვუგარ ჰაშიმოვი (აზერბაიჯანი), ვასილი ივანჩუკი (უკრაინა).



ბაადურ ჯობავა

**უკვე გაუწყეთ, რომ თურქეთის ქალაქ ანტაკიაში მიმდინარე ქალთა მსოფლიოს ჩემპიონატის პირველი ფინალისტი ჩინელი ჰოუ იფანი გახდა.**

გაირკვა, რომ გადამწყვეტ რაუნდში მას ტიტულს თანამემამულე რუან ლუფეი შეეცილება, რომელმაც ტაი-ბრეიქებში ცისქვეშეთის კიდევ ერთ წარმომადგენელს ჟაო სიუს სძლია – 1,5:0,5.

პლანეტის უძლიერეს მოჭადრაკეს ოთხი კლასიკური პარტია გამოავლენს.

შეგახსენებთ, რომ ოსმალურ ფორუმში ნოკაუტ-სისტემით 64 მანდილოსანი მონაწილეობდა, მათ შორის მაია ჩიბურდანიძე, ნანა ძაგნიძე, მაია ლომინეიშვილი და სოფიკო ხუხაშვილი.

ხელბურთი

# ვიკინგთა ნაკვალევზე



**ნორვეგიის ქალთა ნაკრები ზედიზედ მეხუთედ გავიდა ევროპის ჩემპიონატის ფინალში და შვედების ძლევით – 25:20 მეოთხედ მოიპოვა ოქროს მედლები.**

აღსანიშნავია, რომ ამავე მეტოქესთან ვიკინგების შთამომავლებმა ჯგუფური ეტაპის მატჩი წააგეს, თუმცა ამჯერად დამაჯერებელი რევანში აიღეს.

რაც შეეხება კიდევ ერთ სკანდინაველ ფავორიტს – მასპინძელ დანიას, მას ვერც საკუთარმა კედლებმა უშველა „ბრინჯაოსათვის" რუმინელებთან გამართულ მატჩში – 15:16.

გარკვეულ მოულოდნელობად შეიძლება მივიჩნიოთ საფრანგეთისა და რუსეთის ძლიერი გუნდების სუსტი თამაში.

კალათბურთი

# საშობაო რეკორდი



ბექა ჩიკვილაძე

**სუპერლიგის IX ტურის შემდეგ სატურნირო ცხრილში უკანასკნელი ნული გაქრა.**

**მოგეხსენებათ, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის გუნდი აქამდე ერთადერთი იყო, რომელსაც ყველა მატჩი წაგებული ჰქონდა.**

ზურაბ ტომარაძის შეგირდებმა ნავსი „სამედიცინოსთან" გატეხეს – 90:80, თანაც ეროვნული ჩემპიონატის ახალი რეკორდი გამოაცხვეს. 37 ქულა (10-დან 5 სამქულიანი, 10-დან 8 ორქულიანი და 10-დან 6 საჯარიმო) – ასეთია გამარჯვებულთა ჭაბუკი გამთამაშებლის ბექა ჩიკვილაძის წონიანი პირადი მონაგარი.

ბუნებრივია, იგი ტურის საუკეთესო მოთამაშედ დასახელდა, ოღონდ რუსთაველთა კამერუნელ ლეგიონერ სამუელ ლამუსთან ერთად, რომელიც „ენერჯი ინვესტის" მიერ შსს-სთან ძლევაი საკვირველით დასრულებული შეხვედრის – 61:60 გმირად მოგვევლინა.

ამერიკელი ტროი კოტონის (16 ქულა) ძალისხმევით ძალოვნები შესვენებამდე სოლიდურ უპირატესობას ფლობდნენ, ხოლო მესამე პერიოდში ჰანდიკაპმა 16 ქულას მიაღწია – 55:39 და ბრძოლის ბედი ყველას გადაწყვეტილი ეგონა. სწორედ ამ დროს გამოიღვიძა ლამუმ და ზუსტი სამქულიანებით 22 ქულას მოუყარა თავი, მისმა თანამემამულემ ჟოლივეტ ტუჯანმა კი, სამი პერსონალური შენიშვნის მიუხედავად, საიმედოდ გადაკეტა საკუთარი ფარის მისადგომები. უპირველესად, სწორედ მისი დამსახურებაა, რომ მრისხანე მეტოქემ დასკვნით პერიოდში მხოლოდ 5(!) ქულა მოაგროვა.

**დანარჩენი შედეგები:** „ბათუმი" – „არმია" 65:98, თსუ – „სასოფლო" 101:73, „დინამო" – „ქუთაისი" 56:103. ისვენებდა „სოხუმი".

**სატურნირო მდგომარეობა:** „არმია" – 1, შსს, „ქუთაისი", „ენერჯი ინვესტი", თსუ – 2-2, „სოხუმი" – 3, „სამედიცინო", „ბათუმი", „სასოფლო" – 6-6, სტუ – 7, „დინამო" – 8 წაგება.

**შემდეგი ტური:** „ქუთაისი" – „ბათუმი" (24 დეკემბერი, 16 სთ), სტუ – „დინამო" (12 სთ), „არმია" – შსს (14 სთ), „სოხუმი" – „სამედიცინო" (16 სთ, 25 დეკემბერი).

**გიორგი შოთაძე**

ინტერნეტიდან

## გრანდიოზული რბევა საბერძნეთში

**ის მოაწყვეს გულშემატკივრებმა საბერძნეთის ჩემპიონატში ათენის „პანათინაიკოსისა" და ვოლოსის „ოლიმპიაკოსის" მატჩის შემდეგ. სტუმრებმა რომ გაიმარჯვეს 1:0, დედაქალაქელი ფანატები შეიჭრნენ მინდორზე, მაგრამ ფეხბურთელები გადარჩნენ, სასწრაფოდ, თავი შეაფარეს რა ტრიბუნებს ქვემოთ.**

რადგან ფეხბურთელები ვერ ჩაიგდეს ხელში, გულშემატკივრებმა დაიწყეს ტრიბუნების რბევა, ყველაზე მეტად VIP-ლოჟა გაანადგურეს.

ფანატები გაბრაზებულები იყვნენ წინა ტურის შედეგებითაც, როცა ბერძნული ფეხბურთის გრანდმა ვერაფერი მოუხერხა „ასტერასს ".



ახლა „პანათინაიკოსი" 2 ქულით ჩამორჩება პირესის „ოლიმპიაკოსს", რომელსაც თადარიგში კიდევ ერთი თამაში აქვს.

## ინგლისი ძირს უთხრის ბრაზილიას

**ამ ცოტა ხნის წინათ ფიფამ კენჭისყრით ციურიხში განსაზღვრა 2018 და 2022 წლების მსოფლიო ჩემპიონატების მასპინძლები – რუსეთი და ყატარი.**

მაშინ ინგლისი, რომელსაც სურდა 2018 წლის მუნდიალის მასპინძლობა, ორი ხმით პირველივე ტურში გამოვარდა ბრძოლიდან, სამაგიეროდ რამდენიმე საათის შემდეგ იქაურმა პრესამ დაიწყო „დიდი ლაშქრობა" ფიფას წინააღმდეგ და მრავალი ნეგატიური რამ თქვეს ფიფას თავკაცის ზეპ ბლატერის და რუსეთის წინააღმდეგ. ყოველდღიურად ეს ლაშქრობა მათ წინააღმდეგ უფრო ფართოვდება.

თავიდან ითქვა, რომ „რუსეთმა ყველაფერი იყიდა", შემდეგ მოითხოვეს ვოტუმის გამოცხადება ფიფასადმი და ბლატერის გადადგომა, აგრეთვე ჩემპიონატების ორგანიზატორი ქვეყნების არჩევნების სისტემის შეცვლა. იქ რომ არაფერი გამოუვიდათ, ააგორეს ახალი ლოზუნგი: „მივიღებთ 2014 წლის მსოფლიო ჩემპიონატს!.." თუმცა კარგად იციან, რომ ის ჩემპიონატი ბრაზილიამ უნდა მიიღოს.

როგორც The People წერს, ბრაზილია ძალზე ნელა ანვითარებს ინფრასტრუქტურას და თანაც ნელა აშენებს სტადიონებს გამოიყენეს რა ბლატერის სიტყვები, რომ „ქვეყანას (იგულისხმება ინგლისი) შეუძლია მსოფლიო ჩემპიონატის ჩატარება თუნდაც ხვალვე!", ცდილობენ მუნდიალის გადატანას სამხრეთ ამერიკიდან ნისლიან ალბიონზე. იმასაც ამბობენ, რომ თუ ჩემპიონატისთვის მათი ქვეყნის ყველა სტადიონი არ გამოდგება, მაშინ შეიძლება ამისთვის უელსისა და შოტლანდიის უდიდესი სტადიონების გამოყენებაო.

## ლამაზმანი მობილიარდე



**ბილიარდში საჩვენებელ შეჯიბრებაში მონაწილეობდა ბულგარეთის Playmate-2010 კონკურსში გამარჯვებული დორის დილოვა. ბულგარეთში ამავე დროს მოეწყო ერთ-ერთი ცნობილი საწარმოს მიერ დამზადებული ბილიარდის კიების პრეზენტაცია. ამ მოვლენისადმი ყურადღების მისაზიდად ძალზე უბრალო რეცეპტი გამოიყენეს – სექსუალური ლამაზმანი მიიწვიეს.**

ბუნებრივია, რომ მას ხელთ ეპყრა სწორედ საგამოფენო კია. დორისმა აჩვენა, რომ კარგად ხმარობს მას და თქვა, რომ მის წინააღმდეგ ბრძოლა ყველა მსურველს შეუძლია.

## გასული კვირის ჩანაწერები

### შორს დარჩენილი მუსიკა

ვეეეზა ჩანთა ძლივს შემოაქვს რედაქციის კარებ-ში კაფანდარა, სათვალიან ახალგაზრდა ქალს. რა ხდება?

– სუნელ-სანელებლები არ გნებავთ? – უფრო ქალებს მიმართავს შემოსული.

– აბა, გვანახე ერთი!..

ქალი ჩანთიდან ნება-ნება იღებს ცელოფნებში შეხვეულ ათასნაირ საკმაზს – სვანური მარილით დაწყებული და მიხაკ-დარიჩინით დამთავრებული... ოთახი უცებ ივსება მძაფრი, სასიამოვნო სურნე-ლით. მოსწონთ რედაქციის თანამშრომლებს საკ-მაზები, ზოგი რას ირჩევს და ზოგი რას... ზოგი, მაინც ეჭვიანობს, გულდაგულ ყნოსავდნენ ქინძი-სა თუ ზაფრანის ფხვნილებს...

– საიდან მოგვაგენი?.. – ეკითხებიან ქალს.

– აბა, მეტს რას ვაკეთებ?.. დავდივარ ქუჩებში, მადლობა ღმერთს, ამინდი ხელს მიწყობს... ხან სად შევალ და ხან სად... ეგ ყოფილა ჩემი ბედი – ერთ დროს მუსიკოსი ვიყავი, ახლა ამას ვყიდი, რომ ლუკმაპურის ფული გვქონდეს ოჯახში...

– თვითონ ამზადებ?..

– არა, არა... მეგრელების რძალი ვარ, მუსიკა-ლურ სასწავლებელში შტატების შემცირებაში მოვყევი, ჰოდა, რა გვექნა?.. სამეგრელოში ერთ ჩვენს მე-ზობელს მცირე საწარმო აქვს გახსნილი, ფქვავს სუნელებს და მთელ საქართველოში ავრცელებს... მითხრა, თუ იკადრებ, ჩემო დაიკო, წაიღე ჩანთით თბილისში, იქაური ქალი ხარ, ქალაქს იცნობ, რასაც გაასაღებ, შენც დაიტოვე წილიო... ჰოდა, დავდი-ვარ ასე... აბა, ღმერთმა ბედნიერი ახალი წელი გაგითენოთ!..

და უკვე ჩანთაშემსუბუქებული ქალი სევდიანი ღი-მილით გვემშვიდობება.

### ჩვენი „გმირობის“ 19 წლისთავი

შეყვითლებულ საქაღალდეში თაბახის ფურცელს გადავაწყდი. 1991 წლის 21 დეკემბერს ლექსად ჩამიწერია ქართველების „საგმირო“ საქციელის – თბილისში სამოქალაქო ომის დაწყების შესახებ:

*– ძმები ვეძგერეთ ერთმანეთს!*
*– ძმებმა ვესროლეთ ერთმანეთს!*
*ჯანღი მოისხეს მთებმა,*
*საკვირველია, ღმერთმანი,*
*ღვთით კურთხეული ეს მხარე,*
*რას დავამსგავსეთ ძმებმა!*
*ნეტავი, რა გვჭირს ასეთი,*
*ნეტავი, რა გენისა ვართ,*
*რომ უხსოვარი დროიდან –*
*ერთურთის სისხლით ვთვრებით,*
*არ ვეძებთ სასიყვარულო*
*გზებს – ერთმანეთთან მისავალს*
*და ასე: ჩვენი სიბრიყვით*
*ხარობენ ჩვენი მტრები!*
*– ძმებმა ვესროლეთ ერთმანეთს!..*
*აღარა შეგვრჩა, ღმერთმანი,*
*აღარაფერი წმინდა,*
*– როდემდე, ნეტავ, როდემდე!..*
*ვამბობ და ერთს ვთხოვ განგებას,*
*– „დამსეტყვე, ცაო, დამსეტყვე!..“*
*სიცოცხლე აღარ მინდა!*

დღეს ქართველთა „გმირობის“ 19 წლისთავია.

### გულდაწყვეტილი აკაკი...

რამდენიმე თვეა აღარ გამოჩენილა ჩვენკენ ომარ ჩიტაია – შესანიშნავი მომღერალი, ტელეჟურნა-ლისტი, რომელმაც, კარგა ხნის წინათ, კინოფილმ „აკაკის აკვანში“ პატარა აკაკის როლის შესრულებით, მართლაც რომ მთელი საქართველოს სიყვარული დაიმსახურა.

შევედით ვერაზე კაფეში, რაღაც-რაღაც საქმეე-ბი მქონდაო, არ ვიყავი ქალაქშიო, მეუბნება ომარი და მერე, თითქოს, სიტყვას მოჰყვაო, ამ შემოდ-გომაზე გამართული აკაკი წერეთლის დაბადების 170 წლისთავის საიუბილეო დღეების შესახებ სა-უბრობს და, თითქოს, დაუჯერებელ ფაქტს ამხელს: იუბილე ისე ჩაატარეს, არც მე და არც ლეილა აბა-შიძე (ნაზიბროლას როლის შემსრულებელი „აკა-კის აკვანში“), საჩხერეში არ მიგვიწვიესო.

კაცმა არ იცის რა მოხდა, რა მოუვიდათ საჩხერ-ლებს... ისე კი, აკაკის გენია, ცხადია, დავლოცეთ ქარვისფერი ღვინით.

### „ბომჟი“ „ბინას“ ეძებს

ბვფოვვებენ, მიდიან „თბილ ქვეყნებში“ ალექსანდრეს ბაღის „ბომჟები“, რომლებთანაც უკვე კაი სალამ-ქალამი გვაკავშირებს. აქ გვხვდებოდნენ ისინი ყოველ დილით ძელსკამებზე გაშხლართულნი. ჰოდა, სიცივე რომ შემოიპარა, „ბომჟებიც“ თავიანთ „საცხოვრებ-ლებს“ უბრუნდებიან, მაღლივი კორპუსების სხვე-ნებზე ჩათბუნდებიან ამ ზამთარში.

ბიჭოს, ამ ქალს პირველად ვხედავთ, ჩვენი ბა-ღისა ნაღდად არ არის. მიდი-მოდის სქელ-სქელი თმააბურძგნული ქალი, თითქოს, რაღაცას ეძებს ბაღ-ში. ჩვენი „პარლამენტის“ აქტიური წევრი გია იქვე ვარჯიშობს და, ვხედავთ, თან ქალს ესაუბრება.

– ვაკის პარკიდან გამოუგდიათ ეგ უბედური, – გვიყვება მოგვიანებით გია, – იქ მყუდროდ ვიყავი ერთ-ერთი შენობის სარდაფში, მაგრამ გამომაგ-დეს და ახლა სად ვეძებო თავშესაფარი, აღარ ვი-ციო... აი, რა დღეშია ხალხი, ძმებო! – ამბობს ჩვენი პარლამენტარი და ისევ სავარჯიშოდ მიდის, ბაღს ძუნძულით უვლის.

ვილენ მარდალეიშვილი

## მერაბ დონაძის ხსოვნას

### კაცი, რომელიც დააკლდა ქალაქს



უმძიმესია გამოთხოვება იმ პი-როვნებასთან, ვის გვერდითაც მე-გობრებმა თითქმის მთელი შეგნე-ბული ცხოვრება გავატარეთ.

ჩვენთვის ძალიან ძვირფასი იყო და დღესაც არის მერაბ დონაძე.

საშინელმა ტკივილმა შებვძრა მი-სი ახლობლები.

მერაბი ჭეშმარიტად უბადლო ნი-ჭისა და დაუშრეტელი ენერგიის პატრონი იყო, საოცარი და დახვე-წილი იუმორის გრძნობის მქონე, ხოლო მის მოსწრებულ სიტყვას არაფერი შეედრებოდა. დიდ სიხარულს გვანიჭებდა მასთან ყოფ-ნა მეგობრულ წრეში თუ ქართულ სუფრაზე. ვისაც ერთხელ მა-ინც მოუსმენია მისი სიმღერა, მისი ხავერდოვანი ბარიტონი, უკე-თესს ვერაფერს ინატრებდა, ხოლო განუმეორებელი თამადო-ბით იგი სუფრის ნამდვილი მშვენება იყო.

მერაბი ხალასი ნიჭით დაჯილდოებული, ფართო დიაპაზო-ნის მქონე მომღერალი გახლდათ, რომელმაც არაერთი შესანიშ-ნავი სახე განასახიერა ოპერისა და ბალეტის თეატრის სცენა-ზე როგორც მშობლიურ ქალაქში, ასევე მსოფლიოს თეატრე-ბის სცენებზე.

მერაბი უყვარდა ყველას. ყველგან და ყოველთვის საოცარ ხა-ლისიან გარემოს ქმნიდა. უყვარდა ქეიფი, მოლხენა, მეგობრებთან ყოფნა. ასეთად იცნობდნენ მერაბ დონაძეს, მეგობრებისთვის თავდადებულს, ნაღდ ვაჟკაცს, მომხიბლავი გარეგნობისა და დიდი სულის პატრონს. უჭირდა თუ ულხინდა, ადამიანური ღირ-სება არასდროს დაუკარგავს.

მერაბი ოჯახის ტრადიციების მიმდევარი იყო, მოსიყვარულე მამა თავისი შვილების – თენგიზისა და ნატოსი, განუმეორებელი ბა-ბუა შვილიშვილებისა და შვილთაშვილების. მის პიროვნულ თვი-სებებზე დაუსრულებლად შეიძლება ვისაუბროთ, როგორც შესა-ნიშნავ მეგობარზე, რომელსაც შეეძლო ეთესა მხოლოდ სიკეთე.

ვაი, რომ ის დღეს უკვე აღარ გვყავს!

უფალმა უმრავლოს საქართველოს ისეთი ვაჟკაცები, როგო-რიც მერაბ დონაძე იყო. ამინ!

*მისი მეგობრები:*

გიგა ლორთქიფანიძე, ვაჟა აზარაშვილი, გივი წულუ-კიძე, გოგი ქავთარაძე, თენგიზ ზაალიშვილი, ზანგუ-ლი ფანჩულიძე, ომარ მხეიძე, ბიჭიკო ხურციძე, თამაზ შილაკაძე, გივი ჭიჭინაძე, ჯემალ შანშიაშვილი, ედუ-არდ გივიშვილი, თამაზ ლაფერაშვილი, სერგო კოტრი-კაძე, ალექსანდრე ჩივაძე, ირაკლი ნადირაძე, მერაბ მე-რებიშვილი, გია ჭირაქაძე, გივი მაზიაშვილი, ზაზა წუ-ლუკიძე, მურთაზ მურვანიძე, თენგიზ მუშკუდიანი, ბად-რი ბეგალიშვილი, ნაულის ქობულია, სიომა ბარძაია, ოქ-რო კანანელი, ილო დათუნაშვილი, ცისანა ტატიშვილი, ჯემალ პატიაშვილი, მარიტა მაღლაფერიძე, ნათელა მკერვალიძე, მარინე ქურთოშვილი, მზია დავითაშვი-ლი, შალვა კობახიძე, ლადო ხელაშვილი, შალვა დავი-თაშვილი, ავთანდილ საყვარელიძე, დემიკო ლოლაძე

### ტკივილი



დიდი ტკივილი გვარგუნა მერაბ დო-ნაძის უდროოდ გარდაცვალებამ. საქარ-თველოს საზოგადოებამ და სამეგობრომ დავკარგეთ დიდებული მამულიშვილი და უნიჭიერესი ხელოვანი, შესანიშნავი მეოჯახე მამა და თბილისის აღიარებუ-ლი კოლორიტი, რომელიც თავისი კეთი-ლი გულით და იუმორითაც კი ყველასად-მი უდიდეს სიყვარულს აფრქვევდა.

დაუვიწყარი იქნები ჩვენთვის აწ და მარადის, ძვირფასო მე-რაბ!

ეთერ, ალეკო კაკულიები

---

ალეკო ასლანიშვილი, გურამ გოგიაშვილი, რუსლან რუსია, სპარტაკ ქობულია, ვილენ მარდალეიშვილი მწუხარებით იუწყე-ბიან, რომ გარდაიცვალა შესანიშნავი მოქალაქე, შემოქმედი და პიროვნება

მერაბ დონაძე

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

---

საქართველოს თეატრალური საზოგადოება ღრმა მწუხარებას გამოთქვამს ცნობილი მომღერლის და თეატრალური მოღვაწის

მერაბ დონაძის

გარდაცვალების გამო და თანაგრძნობას უცხადებს განსვენე-ბულის ოჯახს.

## ახლახან გამოვიდა

### როგორ შევინარჩუნოთ ჯანმრთელობა

ცნობილი ჟურნალისტი სულიკო ხეტეშ-ვილი ხალხური მედიცინის სიკეთით და-ინტერესებულა და ორ წიგნად გამოუცია კიდეც „ჯანმრთელობის საგანძური“, რო-მელშიც წარმოდგენილია ოთხასამდე და-ავადების ათასზე მეტი რეცეპტი და რჩე-ვა-დარიგებანი, წიგნები განკუთვნილია ყველა ოჯახის-თვის, სადაც არ




დაუკარგავთ სიცოცხლის წყურვილი, მიზნად დაუსახავთ ყოველ-გვარი დაავადებისგან თავის დაღწევა, სურთ ყოფნა მხნედ და ენერგიულად.

წიგნი გამოსცა „გამომცემლობა ხელოვ-ნებამ“.

დაინტერესების შემთხვევაში მკითხველს შეუძლია დაუკავშირდეს ბატონ სულიკო ხე-ტეშვილს ტელეფონით: 75-68-22, 890756822, 899 73 11 24.

---

აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულო და გამ-გეობა მწუხარებით იუწყება შპს „აბაშის ამბუ-ლატორიულ-პოლიკლინიკური გაერთიანების“ დირექტორის

ოთარ ლიპარტიას

მოულოდნელ, ნაადრევ გარდაცვალებას და სამ-ძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახის წევ-რებსა და სხვა ჭირისუფალთ.

---

გრიგოლ (მერვედ) კუპრავა ოჯახით მწუხარებას გამოხატავს

ოთარ ლიპარტიას

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებს ოჯახის წევრებსა და სხვა ჭირისუფალთ.

რეკლამა
„საქართველოს რესპუბლიკაში“
99-62-77; 899 32-85-76.
გ. ახვლედიანის ქ. №19.

ნოდრის კარიკატურა



---

გივი კვიჭიძე ოჯახით იუწყება, რომ გარდაიცვალა გამო-ჩენილი მშენებელი, მე-14 ტრესტის ყოფილი მმართველი, რეს-პუბლიკის დამსახურებული ინჟინერი

ჯემალ ალექსანდრეს ძე ხაზარაძე

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს და ახლობ-ლებს.

---

ბიძაშვილები გიორგი, თეიმურაზ, ვიტალი, ვასო ხაზარა-ძეები ოჯახებით ღრმა მწუხარებით იუწყებიან უკეთილშო-ბილესი პიროვნებისა და მშენებლობის ღვაწლმოსილი მუშა-კის

ჯემალ ხაზარაძის

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

გამოიწერეთ!

# ყველაზე იაფი სახალხო გაზეთი – საქართველოს რესპუბლიკა

## რომელიც 1918 წლიდან გამოდის

ჩვენ კვირაში ხუთჯერ გამოვდივართ, კვირისა და ორშაბათის გარდა. ამ ხუთი დღის განმავლობაში მკითხველს მარტო ჩვენი გაზეთის საშუალებით შეუძლია, სრულად მიიღოს ყოველგვარი ინფორმაცია როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მსოფლიოში მიმდინარე მოვლენებზე, გაეცნოს აგრეთვე ამ მოვლენების სოციალურ, პოლიტიკურ და ეკონომიკურ ანალიზს.



გაზეთის რედაქცია შეძლებისდაგვარად ყოველთვის ცდილობდა და კვლავაც შეეცდება, რომ ჩვენი გაზეთის „სუფრაზე“ ყოველგვარი გემოვნების მკითხველმა დაიკმაყოფილოს თავისი ცნობისმოყვარეობის „მადა“.

ამ თვალსაზრისით ჩვენ მუდამ ვიყავით და მომავალშიც დავრჩებით ყველაზე სანდო, ჭეშმარიტ სახალხო გაზეთად, რომლის ფურცლებიდანაც თვითონ ხალხი ლაპარაკობს თავის გულისნადებს.

ვისაც უნდა, რომ მომავალი წლიდან ფოსტამ ყოველ სისხამ დილით „საქართველოს რესპუბლიკის“ ცხელ-ცხელი ნომერი მიაწოდოს, შევახსენებთ იმ ორგანიზაციების ტელეფონის ნომრებს, რომლებიც შეუზღუდავად გამოგიწერენ გაზეთს: „მაცნე“ – 37-61-53; „პლანეტა „ფორტე“ – 93-38-75; „პრესექსპრესი“ – 96-23-11; „ელვასერვისი“ – 38-80-02; „ჯეომედია“ – 95-51-70; „საქპრესა“ – 51-59-05; „საქპრესა+“ 51-57-43; „ინფო“-2007 – 34-11-40; „პრეს+“ 14-23-97.



## ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსი

| | |
|---|---|
| 1 აშშ | – 1.7653 ლარი |
| 1 ევრო | – 2.3346 ლარი |
| 1 გირ. სტ. | – 2.7594 ლარი |
| 100 რუბლი | – 6.6267 ლარი |
| 1000 სომ. დრამი | – 5.9680 ლარი |
| 1 აზ. მან. | – 2.2231 ლარი |
| 10 უკრ. გრივნა | – 2.2495 ლარი |
| 1 თურქ. ლირა | – 1.2484 ლარი |
| 10 ჩინ. იუანი | – 2.6612 ლარი |



## იყიდება სასწრაფოდ!

ბინა ატენის ქუჩაზე (№3, ვაკექ

ვრცელი ფართობი (180 კვმ.ძ საუკეთესო ადგილზე (ცხრასართულიანის ბელეტაჟი), გინდათ საცხოვრებლად, გინდათ საოფისედ (სარდაფით, გარაჟით). ფასი შეთანხმებით. დარეკეთ 230312 ან 899 537 616, 893 592 152.

## ◉ დაიჯესტი

# ინტიმი და კოსმოსი

**წლეულს გაზაფხულზე საერთაშორისო კოსმოსურ სადგურში ერთდროულად ოთხი ასტრონავტი ქალი იმყოფებოდა ცხრა მამაკაცის საზოგადოებაში. კოსმოსში ამდენი ქალბატონის ერთდროულად ყოფნა რეკორდული იყო. დედამიწაზე დაბრუნების შემდგომ კი ჟურნალისტებმა ისინი კოსმოსურ ორბიტაზე... სექსის საკითხებზე ალაპარაკეს.**

სამი ქალი კოსმოსურ სადგურზე ერთად შატლ „დისქავერით“ ავიდა. ესენია ამერიკელები დოტი მეთქლაფ-ლინდენბურგერი, სტეფანი უილსონი და იაპონელი ნაოკო იამაზაკი. მეოთხე ამერიკელი ასტრონავტი ქალი თრეისი ქოლდველ-დაისონი უკვე იქ იმყოფებოდა. ოთხი საკმაოდ მომხიბლავი ქალბატონი ორი კვირის მანძილზე ცხრა მამაკაცის გვერდით ცხოვრობდა, რაც გარკვეული სახეობის აზრებს აჩენდა, თანაც ეს პირველად არ ხდებოდა. გარკვეულ დრომდე საზოგადოებრიობაში გარკვეული ეჭვები ჩნდებოდა და მიუხედავად იმისა, რომ ამის თაობაზე საჯაროდ არავინ ლაპარაკობდა, დიდხანს ასე ვერ გაგრძელდებოდა.



კოსმოსიდან დედამიწაზე დაბრუნებულებმა შატლის ეკიპაჟის წევრებმა მსოფლიოში მოგზაურობა დაიწყეს მეგობრული ვიზიტებით, მართავდნენ პრესკონფერენციებს. ჰოდა, ერთხელ იაპონიაში ჟურნალისტებთან შეხვედრაზე ასტრონავტ ქალბატონებს პირდაპირ ჰკითხეს:

– კოსმოსურ სადგურში სექსი სად გქონდათ ხოლმე? არის თუ არა იქ ადგილი, სადაც წყვილს განმარტოვება შეუძლია?

იაპონელი ნაოკო იამაზაკი მორცხვად დადუმდა. ხომალდის მეთაურმა ალან პოინდექსტერმა კი, არსებითად, ორი სენსაციური განცხადება გააკეთა. პირველი: კოსმოსში სექსი არავის აუკრძალავს. მეორე: კოსმოსში სექსი, ეთიკური მოსაზრებით, არავის ჰქონია. ეკიპაჟის თითოეულ წევრს თავად აქვს გათვითცნობიერებული, რომ ფრენის დროს რაც მოგესურვა, ყველაფრის გაკეთება არ შეიძლება.

– ჩვენ პროფესიონალთა ჯგუფი ვართ, – ყველას მაგივრად ჟურნალისტებს უპასუხა მეთაურმა, – და ერთმანეთს პატივისცემით ვეპყრობით. საერთო საქმეს რომ ეკადრება ერთმანეთში ისეთი დამოკიდებულება გვაქვს, პირადული კი – არა. თან ამის არც დრო, არც სურვილი გვაქვს.

სხვათა შორის, გამოთქმამ „არც სურვილი გვაქვს“ ჟურნალისტები მეტად დააინტერესა: იქნებ სხვა მიზეზები ამაზე უფრო ნაკლებად მნიშვნელოვანია? ეს ვარაუდი კი უკვე ჭეშმარიტი სენსაცია იქნებოდა...

უნდა ითქვას, რომ ალან პოინდექსტერზე გაცილებით ადრე ორბიტაზე ინტიმის თაობაზე აზრი გამოთქვა სსრ კავშირის მფრინავმა-კოსმონავტმა, სსრ კავშირის გმირმა ალექსანდრე სერებროვმა: „რა სისულელეა, რა ჯანდაბად გვინდა კოსმოსში არშიყი? იქ ხომ აუარება საქმეა, დღე-ღამე არ გვყოფნის, ექსპედიციაც კი გაუგრძელებიათ ამის გამო ორი თვით! არც ეროტიკულ სიზმრებს ვნახულობდით, თუმცა ბუნება – ტყე, ბალახი, ოჯახი ხშირად გვესიზმრებოდა“.

სადღეისოდ კოსმოსში ნამყოფ ასობით მამაკაცთა და ათობით ქალთაგან არც ერთს არ უთქვამს, რომ კოსმოსში ინტიმური ურთიერთობა ჰქონია. ეს არც 1992 წელს კოსმოსში ერთად გაფრენილ ცოლ-ქმარ მარკ ლისა და ჯენ დევისს არ ულიარებიათ, თუმცა მათ არანაირი ეთიკური პრობლემა არ ჰქონიათ. იქნებ ასეთი ურთიერთობა კოსმოსში დღემდე მართლაც არავის ჰქონია?

საგულისხმო მომენტი მაინც ის არის, რომ ამის თაობაზე არც ნასაში, არც როსკოსმოსში, არაერთი შეკითხვის მიუხედავად, არანაირ კომენტარს არ აკეთებენ. სავარაუდოა, რომ ამას იმ დრომდე არ გააკეთებენ, ვიდრე მარსის მიმართულებით, შერეული შემადგენლობის ეკიპაჟი არ გაფრინდება.

აქამდე კი, კოსმოსში ინტიმთან დაკავშირებით, ცნობილია მხოლოდ ერთი თითქმის ოფიციალური განცხადება:

– ჩვენ ჩვენი ასტრონავტების პროფესიონალიზმისა და გონების სიფხიზლის იმედი გვაქვს, თორემ კოსმოსში სექსუალურ ურთიერთობებთან დაკავშირებით არანაირი ფორმალური აკრძალვა არ არსებობს, – განაცხადა ნასას პრესმდივანმა ედ კემპიონმა.

## ამინდი დღეს

| | |
|---|---|
| თბილისი. | +2 – +10 |
| ქუთაისი. | +10 – +12 |
| ბათუმი. | +10 – +15 |
| ზუგდიდი. | +8 – +13 |
| თელავი. | +2 – +9 |

## ◉ კადრი



რეკლამა

გ. ახვლედიანის ქ. №19.

„საქართველოს რესპუბლიკაში“ 99-62-77; 899 32-85-76.

## ◉ ანეკდოტები

– რატომ არ უყვარს ჩვენს ხელისუფლებას მცირე ბიზნესი?

– რომელ ხელისუფლებას უყვარს მცირედით დაკმაყოფილება, რო?

* * *

– წარმოგიდგენია, ახალი შარფი ვიყიდე, ჩემს ქმარს კი არ მოეწონა...

– მერე შენც ადექი და მალაზიაში გაცვალე!

– რას ამბობ, არის კი ისეთი მალაზია, სადაც ქმრების გაცვლა შეიძლება?



* * *

ნურასდროს ნუ ჰკითხავ გამყიდველს, რისგან არის დამზადებული ძეხვი.

უცებ რომ გიპასუხოს?!

* * *

სმა, მოწევა და ლაპარაკი ერთდროულად მივატოვე. ინსულტი!

* * *

– კრიზისი დამეხმარა იმაში, რომ კვლავ დავმდგარიყავი ფეხზე: ბანკმა სესხის გადაუხდელობისთვის მანქანა წამართვა.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA

გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19

ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ (დავით აღმაშენებლის 150. ტ: 899 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
99-62-77; 899 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 899 53-76-16;
რუსლან რუსია 899 17-21-21;
სპარტაკ ძოზულია 899 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 814 33-33-24

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.